საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 24 დეკემბერი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

№ 294 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 294

უზომოთ დამწუხრებულნი დედ-მამა მაკრინე და მაქსიმე, ძმები სევერიან, ვიკტორ და ლასიკო, რძალი ლილოსი, დები: ლისა, კატო, ნატაშა და მანა, სიძეები თომა რამიშვილი, ერმილე ჩანტლაძე, ლუკა ქორიძე და ერმილე პაიჭაძე შვილებით უგულითადეს მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ ნათესავ მეგობრებს მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

მათე მაქსიმენის ძე კაკელიძის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქალაქ ბაქოში 28 ნოემბერს ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ. (4100—2—1)

გულდამწვარი, გაუბედურებული მშობლები სამსონი და ხადია, ბაბუა ალმასხანი და ბიძა ბიცოლები: მიხაკო, მელიტონი, ანეტა და მარუსია ფერაძეები მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავ-მეგობარ ნაცნობთ რომ პირველი ორის მშობლიურ გულს სამუდამოთ მოსწყდა ერთად ერთი გამახარებელი ძე

ზ ა ზ უ ლ ი ო ნ ი

(4101—1—1)



ფრონტის დღე

შაბათს 25 დეკემბერს

„ა რ მ ა ზ შ ი“

(ყოფილი ძიმერიონი).

გაიმართება გრანდიოზული საღამო-შობის ხე ფრონტის საჭიროებისათვის.

მონაწილეობენ:

„ელამი ჯიმის“

მთელი შემადგენლობა, ბოშის რომანსები: თამარა წერეთელი, ვერიკო ანჯაფარიძე, ვანო ნანიაშვილი, იასე ანდრონიკაშვილი, სანდრო ყანჩელი, ისაი დოლუხანოვი, ოსიკო ბარათაშვილი, მ. ქიაურელი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, მთელი თფილისის არტისტიული ძალები საერთო ცეკვა, შარჟი, ექსპრომენტები, ყვავილები, შ. მპანიური, კრუშონი.

გრანდიოზული „შობის ხე“

დიდძალი ჰაეროვანი ბურთები.

რესტორანი საგანგებოთ იქნება გამთბარი და მორთული. როიალთან ბ. პროზოვსკი.

კონფერანსიე: კურიხანი, ყანჩელი, პაოლო იაშვილი.

დიასახლისი: თ. ა. ავალიშვილისა.

სტოლებზე ჩაწერა თ. ავალიანისათან, პეტრე დიდის ქ. № —19, ტელეფ. № —15—84.

ქართულ კლუბში

(დამფუძნებელი კრების ქუჩა)

კვირის 26 დეკემბერს გაიმართება გრანდიოზული საღამო „შობის ხე“ დრამის ოპერის და „ელამი ჯიმის“ საუკეთესო ძალთა მონაწილეობით: ნ. გ. ბოიარსკისა, ვ. ცეხანოვსკისა, ა. ბალაბანი, ნ. ვოლკოვსკისა, ა. ერმოლენსკისა, მ. მორდკინი, ფ. ნიროვი, ბრ. პოლ-ცკაისა, დ. დროზდო პოლიაევისა, ი. ხარაჯიშვილი, დ. ხტრიშვესკისა, ი. ხაზინინი, მ. ქიაურელი, ც. ამირეჯიბი, ნ. დავითაშვილი, თ. ჭავჭავაძე და სხვ.

კონფერენსიე: კურიხინი, ყანჩელი, პაოლო იაშვილი.

საღამოს დიასახლისი ქ-ნი ზუბოვსკოისა.

კლუბი საგანგებოთ მორთული და გამთბარი იქნება.

სტუმრების შეკრების დრო საღ. 8 საათ.

სტოლებზე ჩაწერა დიასახლისთან ქ ნ ვიგიჩკორთან (სერგიევის ქუჩა არამიანცის სახლი ტელეფ. № 13—79

(4114—1—1).

სახელმწიფო ოპერა

პარასკევს, 24 დეკემბერს ბალეტის საღამო მორდკინისა

კარნავალი

შაბათს, 25 დეკემბერს ოპერა მუშებისათვის დალატი. დასაწყისი 8 საათზე (ნ. 1—1)

„ეშმაკის მათრახი“

მიიღება ხელის მოწერა 1921 წლისათვის

ჟურნალი თვეში ეღირება 200 მან.

გამოწერა შეიძლება მხოლოდ სამი თვით.

მისამართი: თფილისი, რუსთაველის პროსპ. № 24. (3—1)

აკაკი პაპავა

სოლეილ-დორ

მოთხრობათა კრებული

წიგნი პირველი.

გამოცემა „სახლოვნო“ ცენტრისა.

წიგნი გამოვა საახალწლოდ. (ნ. 5—2)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

შაბათს, დეკემბრის 25-ს

მ ე ო რ ე დ

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ტრაგედია სოფოკლესი. მუსიკა მენდელსონისა, დეკორაციები მხატვარ ვალ. სიდამონ-ერისთავისა. სიმფონიური ორკესტრი ალ. გველესიანის ლოტბარობით. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კვირას, დეკემბრის 26-ს

მ ე ე ქ ვ ს ე დ

გუშინდელნი

მორიგი რეჟისორი ზ. ბერიშვილი.

ოთხშაბათს დეკემბრის 28-ს

ფრონტის დღე

საგანგებო პროგრამით.

(ნ. 2—2)

## სოც.-რევოლიუციონერთა ახალი გამოსვლა

საერთო მსჯელობა კონსტიტუციის პროექტის გამო თითქმის დასრულებულია. ყველა ფრაქციებმა გამოსთქვეს ყველაფერი ის, რის თქმაც უნდოდათ იმ პრინციპების შესახებ, რომელიც უნდა დაედვას სათავეში საქართველოს კონსტიტუციას. ერთმა ფრაქციამ (სოც.-რევოლიუციონერებმა) კონსტიტუციის კომისიის მიერ შემუშავებულს პროექტს თავისი საკუთარი პროექტიც კი დაუპირდაპირა. საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღებით ავწონ-დავწონოთ ამ უჩვეულო ფაქტის მნიშვნელობა.

დამფუძნებელი კრების რეგლამენტით (და ეს წესი მიღებულია ყველა ქვეყნების საკანონმდებლო დაწესებულებაში) ყოველი კანონ-პროექტი კრების პლენუმში შეტანამდის წინასწარ მუშავდება სათანადო კომისიაში. კომისიამ უნდა გასწიოს წინასწარი მუშაობა, რომ დამფუძნებელი კრების პლენუმი მოუმზადებელი არ შეხვდეს შეტანილს კანონპროექტს. ამ წესითვე მუშავდებოდა კონსტიტუციის პროექტიც. საკონსტიტუციო კომისიაში ყველა ფრაქციებს ჰყავთ თავისი წარმომადგენლები. იქ მუშაობს ესერების წარმომადგენელიც. თუ ესერთა ფრაქცია სრულიად არ ეთანხმებოდა იმ პრინციპებს, რომლებზედაც შენდებოდა კომისიაში კონსტიტუციის პროექტი, მათს წარმომადგენელს შეეძლო კომისიაშივე წარმოედგინა ის პრინციპები, რომლებსაც მისი ფრაქცია უდებს სათავეში კონსტიტუციას, და თავის კონსტიტუციის პროექტიც. კომისიას უნდა აეწონ დაეწონა ეს პრინციპები და ეს პროექტი და თუ მისთვის მიუღებელი გამოდგებოდა, მაშინ ესერთა ფრაქციას დამფუძნებელი კრების პლენუმში გამოიტანდა თავის პროექტს. ის გზა, რომელიც ესერთა ფრაქციამ აირჩია თავისი პროექტის გამოსაქვეყნებლად, ყოვლად მიუღებელია ყველასთვის, ვისაც პარლამენტარიზმის ან-ბანი მაინც ესმის და ვინც უმაღლეს დაწესებულებაში სამუშაოდ შედის და არა სხვა რაიმე განზრახვით. ესერთა საქციელი, უპირველეს ყოვლისა, უნდობლობის გამოცხადებაა საკონსტიტუციო კომისიის წევრისადმი, რომელიც კომისიაში მუშაობდა, როგორც ეს-ერთა ფრაქციის წარმომადგენელი,—ბ. ივ. გობეჩიასადმი. მართლაც ეს უკანასკნელი ძლიერ ბევრ ხანს მუშაობდა საკონსტიტუციო კომისიაში, მაგრამ არავის აზრათაც არ მოსვლია, რომ ან მისთვის სრულიად მიუღებელი ყოფილიყოს ამ კომისიის ატმოსფერა, ან მას ნდომებოდეს ისეთი რამ პრინციპების დადება კონსტიტუციის სათავეში, რომლებიც საკონსტიტუციო კომისიისათვის მეტად „მემარცხენე“ და ამიტომ მიუღებელი იყო. ბ. გობეჩია მუშაობდა კომისიაში ისე, როგორც ჩვეულებრივი მისი წევრი, არც მეტი, არც ნაკლები. არაფერში არ გამოუჩენია მას თავისი უცლრესი „მემარცხენეობა“ და თუ სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციას დღეს პირდაპირ პლენუმში შემოაქვს პროექტი, რომელზედაც ბ. გობეჩიას კომისიაში სიტყვაც არ დაუძრავს, ეს არის ნამდვილი უნდობლობა მისდამი, ეს არის ეს-ერთა ფრაქციის მიერ უკმაყოფილობის გამოცხადება იმ მუშაობისადმი, რომელსაც მისი წარმომადგენელი დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა საკონსტიტუციო კომისიაში. ეს-ერთა საქციელის ამნაირ დაფასებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საერთო მსჯელობაში, რომელიც ამდენ ხანს სწარმოებდა კონსტიტუციის პროექტის გარშემო, მონაწილეობა მიიღო სამმა ეს-ერმა, მაგრამ მათ შორის არ ვხედავდით სწორედ იმ ბ. ივ. გობეჩიას, რომელიც ეს-ერთა ფრაქციის ერთად-ერთი წარმომადგენელი იყო საკონსტიტუციო კომისიაში.

მაგრამ ეს-ერთა საქციელს კიდევ ერთი და უფრო მნიშვნელოვანი მხარე აქვს: თავისი პროექტის პირდაპირ პლენუმზა შეტანით და საკონსტიტუციო კომისიაში არ წარდგენით მათ დაამტკიცეს, რომ დამფუძნებელ კრებაში მას არ სურთ ორგანიული მუშაობა, რომ დამფუძნებელი კრების ტრიბუნას ისინი იყენებენ მხოლოდ სააგიტაციოთ, და არა იმ მიზნით, რომ ჩვენი სახელმწიფოს შესძინონ რამე თავისი მუშაობით, რომ ხალხის უზენაესი ნების გამომხატველი დამფუძნებელი კრება სწორ მუშაობის გზაზე დააყენონ. ეს-ერებს იმისი ჯავრი არა აქვთ, რომ დამფუძნებელი კრება, მათი შეხედულებით, მრუდე გზას დაადგება და ხალხის ცხოვრებას არ წარმართავს სწორი გზით. მათ კიდევაც გაახარებს დამფუძნებელი კრების ყოველივე მარცხი. მათ იციან „თილისმა“ ხალხის გაბედნიერებისა, მაგრამ ამ თილისმას ისინი ჯიბეში მალავენ და დამფუძნებელ კრებას არ აჩვენებენ, რადგან უნდათ, რომ ხალხმა იგი პირდაპირ ეს-ერების ხელიდან მიიღოს, დამფუძნებელ კრება კი გარიყული დარჩეს. ასეთია აზრი ესერების მიერ ჩადენილ საქციელისა. მისი ერთად ერთი ლოღიკური დასკვნა ასეთია: მათ რომ ძალა შესწევდათ, მათი ძალა რომ იმ ზომისა იყოს, როგორისაც არის მათი ტრაბახობა და თავგასულობა, ისინი მოინდომებდენ დამფუძნებელი კრების დანგრევას. სასაცილო და სამასხარაო მათი ყოფაქცევა დამფუძნებელ კრებაში უკანასკნელ დროს, მაგრამ სასაცილოა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სრულიად უმწეო და სუსტია ჩვენში სოც. რევოლიუციონერთა პარტია, სრულიად უმნიშვნელოა მათი გავლენა ხალხში. მაგრამ ეს მაინც არ აბათილებს ამ „რევოლიუციონური“ პარტიის ნამდვილ სულისკვეთების გამოაშკარავების საჭიროებას.

## უტიფარი დეპუტატი

დამფუძნებელ კრებაში არის ერთი დეპუტატი, რომელიც ხშირათ გამოდის ტრიბუნაზე მორალური სენტენციებით, ბევრს ლაპარაკობს სხვის ბოროტ მოქმედებაზე, ილანძღება, ფიფხურობს, ყველას და ყველაფერს იწუნებს.

ეს დეპუტატი ივ. ნ. ლორთქიფანიძეა. ის ერთ დროს მთავრობის წევრი იყო. მას ებარა გზათა და სასურსათო უწყება. რკინის გზები მის ხელში სრულ დანგრევაზე იყო მიმდგარი, ხოლო სასურსათო საქმეში სრული უილაჯობა გამოიჩინა.

მარა ბ. ლორთქიფანიძემ თავი ისახელა არა მარტო ამით. ის იძულებული შეიქნა მთავრობა დატოვებია ერთი სკანდალური მოქმედებისათვის. ყველამ იცის, რა მოყვა ამას. მთავრობამ ალბათ დაზოგა ბ. ლორთქიფანიძე, გაითვალისწინა მისი პირადი მდგომარეობა და მეტისმეტი ლმობიერება გამოიჩინა. ალბათ ამიტომ არ მისცეს ის პასუხისგებაში. მაგრამ ბ. ლორთქიფანიძემ ეს ლმობიერება, როგორც სჩანს, ცუდათ გაიგო. მან თავი გამართლებულათ და გამარჯვებულათ წარმოიდგინა. მალე ის სოხუმისაკენ გაემგზავრა, ისევ სახელმწიფოებრივ მუშაობაში ჩაება და რამდენათაც ვიცით უსკანდალოთ არც იქ გათავებულა მისი საქმე. ამის შემდეგ ის დამფუძნებელ კრებას დაუბრუნდა. მარა აქ მოხდა საკვირველება: დეპუტატმა ლორთქიფანიძემ მორცხვობის გრძნობა სრულიად დაკარგა. ვგონებთ, დამფუძნებელ კრებაში არ არის მეორე ისეთი დეპუტატი, რომელიც ისე გაბედულათ ლაპარაკობდეს მორალურ საკითხებზე, როგორც ბ-ნი ლორთქიფანიძე.

ბ. ლორთქიფანიძის პირველი საქმე შემდეგში მდგომარეობდა: ლორთქიფანიძე გზათა მინისტრი იყო. მაშინ ნავთს ბაქოში მხოლოდ მთავრობა იძენდა, მთავრობა ყიდულობდა და აქ მოტანილს ანაწილებდა დაწესებულებათა და მცხოვრებთა შორის. ნავთი მოდიოდა შეღავათიან პირობებში, მთავრობა ბაჟს არ იხდიდა. ამიტომ მთავრობის მიერ მოტანილი ნავთი ათჯერ და ოცჯერ იაფათ ჯდებოდა ბაზრის ფასთან შედარებით. დამფუძნებელი კრების არჩევნები კარზე გვადგა. და აი, სოც.-რევოლიუციონერთა პარტიამ მოინდომა ლორთქიფანიძის მინისტრობით ესარგებლა და სახელმწიფოს ხარჯზე საარჩევნო თანხები შეეძინა. მათ ლორთქიფანიძის დახმარებით შეიძინეს ორი ცისტერნა სახაზინო ნავთი, შეძენილი 10 მანეთად ფუთი, მიჰყიდეს კერძო ვაჭრებს ფუთი 126 მან., ხოლო უკანასკნელებმა ეს ნავთი 172 მ. გაყიდეს კოოპერატივებზე. ამნაირათ ლორთქიფანიძემ და სოც.-რევოლიუციონერთა ორგანიზაციამ ორგვარი დანაშაულობა ჩაიდინეს: სახაზინო ნავთი კერძო საჭიროებისთვის გაიხმარეს და გაუძვირეს რა ის მცხოვრებლებს, ამით სპეკულიაცია გასწიეს. ყოველივე ეს გამოძიებამ დაამტკიცა. როგორც ვთქვით, ამას მოყვა ლორთქიფანიძის მთავრობიდან წასვლა და შემდეგი ამბები.

ამ საქმის გამო პასუხისგებაში მისცეს ვინმე იოსებ ივანეს ძე მაჭავარიანი, თუ არ ვცდებით, მინისტრ ლორთქიფანიძის პირადი მდივანი. სასამართლომ ი. გაამართლა იმ მოტივით, რომ მაჭავარიანი მოქმედებდა არა თავის ნებით, არამედ მინისტრის ბრძანებით, ის ასრულებდა მისი უფროსის განკარგულებასო.

მარა საოლქო სასამართლოს დადგენილებაში არის ერთი ადგილი, რომელიც უჩვენებს პირდაპირ დამნაშავეებზე. აი ეს ადგილი:

„ამნაირათ—ამბობს სასამართლო—მოწმეთა ჩვენებიდან უდავოთ დამტკიცდა ორი საყურადღებო დებულება; პირველი, რომ მაჭავარიანმა ნავთი მიიღო როგორც გზათა სამინისტროს რწმუნებულმა, მინისტრის მიწერილობით, მეორე, რომ ნავთის გაყიდვისგან აღებული ფული გადაეცა სოციალისტ-რევოლიუციონერთა ორგანიზაციას“. ამ დადგენილებიდან აშკარათ სჩანს, რომ დამნაშავე—როგორც სპეკულიაციაში, ისე სახაზინო ქონების მითვისებაში ყოფილა მინისტრი ლორთქიფანიძე და სოციალისტ რევოლიუციონერების ორგანიზაცია.

და აი ეს ხალხი სხვას ასწავლის სიფაქიზეს, სხვებს უკიჟინებს ბოროტ-მოქმედებას.

უტიფრობა ამაზე უფრო შორს ვერ წავა!

სოციალ-დემოკრატი.

## რას სწერენ დაშნაკელები?

22 დეკემბრის ნომერში (283) „აშხატავორი“ სწერდა:

„ქემალისტების შემოსევა ახალქალაქის ოლქში. ახალქალაქი, 14 დეკემბერი. სოფლები ყაზაჩი, შიშთაფა, ქარალბიურ, დარაგეთ, ტითონ, სარაბა დაიკავეს ქემალისტებმა. ძარცვავენ ხალხს სისტემატიურათ. ყიზილ-ქილის სოფლის მცხოვრებნი გაანადგურეს. გთხოვთ მიმართოთ საბჭოთა მთავრობას და მათ წარმომადგენლთ ან ვისაც ეს ეხება დაიხსნან ხალხი ასეთი საშინელი მდგომარეობისაგან“.

23 დეკემბერს იგივე გაზეთი (№ 284) მეთაურ წერილში სწერს:

„ანგორის მთავრობის აზრით—სომხეთის შესახებ საკითხი, ყოველ შემთხვევაში დროებით, რიგიდან მოხსნილია. და იმისათვის, რომ არ დაირღვეს წონასწორობა ამიერ-კავკასიაში, საჭიროა განსაზღვრული პოლიტიკა აგრეთვე საქართველოს მიმართაც.

„ცნობილია, რომ სომხეთ-ოსმალეთის ომის დროს ანგორის მთავრობამ, დაუთმო რა საქართველოს სომხეთის მიწების ნაწილი, სახელდობრ: არტაანი, ჩილდირი, ნეიტრალური ზონა, შესძლო მისგან „ნეიტრალიტეტის“ მიღება ეხლა მდგომარეობა შეიცვალა და „წითელ“ ოსმალეთს შეუძლიან საფუძვლიანათ ანგარიშები გაუსწოროს აგრეთვე საქართველოს. იმისათვის ეს მით უფრო ადვილია, რომ კომუნისტები თავის მხრივ წელებზე ფეხს იდგამენ, რათა ადგილობრივაც მოაწყონ „რევოლიუცია“.

„ამგვარათ, საქართველოც ისეთსავე მდგომარეობაში ვარდება, რომელშიაც იყო ომის დაწყებამდე სომხეთი: საფრთხე სამხრეთიდან, მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები შიგნით და მეგობრული აგრესიულობა ჩრდილოეთიდან. თუ გარეშე ქვეყნათა საერთაშორისო ურთიერთობაში არ მოხდება რაიმე განსაკუთრებული ცვლილება, ამ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, საქართველოს „განთავისუფლება“ ისე, როგორც ეს ესმით თურქებს და ბოლშევიკებს, აუცილებელია, ხოლო ამის საშუალება ცნობილია. ოსმალები მოითხოვენ ბრესტის ან ბათომის ხელშეკრულების ასრულებას, შეეცდებიან აჭარაში აჯანყების მოწყობას, აამუშავებენ წითელ არმიას, რომელიც გამოვა ხალხთა თვითგამორკვევის „პრინციპის“ დამცველად, და ამ რიგათ შეიქმნება ის ხელსაყრელი ატმოსფერა, რომელშიაც კომუნისტები შესძლებენ „რევოლიუციის“ მოხდენას.

„ოსმალეთი, „დაქსაქსე და იბატონე“-ს პრინციპის ხელოვნური მოხმარებით, აღწევს ისეთს შედეგებს, რომლებიც მას აქამდის არც კი ესიზმრებოდა.

„უკვე მიღებულია ცნობები ოსმალეთის ჯარების საზღვრებისაკენ დაძვრის შესახებ. რამდენათ მართალია ეს ცნობები, ჩვენ ჯერ გვეძნელება ამის თქმა, მაგრამ საფრთხე ცხადათ მოსჩანს და ამ საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია“.

## საუბარი კარლო ჩხეიძესთან

გუშინ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძეს, რომელიც ევროპიდან თფილისს დაბრუნდა 22 დეკემბერს.

**ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხი.**

როდესაც ჩვენ პარიზში ჩავედით, სთქვა კ ჩხეიძემ, მაშინ ჩვენს შესახებ იქ არავითარი წარმოდგენა არ ქონდათ და საზავო კონფერენციას სრულებით არ აინტერესებდა საქართველოს საკითხი, ეს საკითხი მის წინაშე არც იდგა.

თეორიულად ზავი უნდა აშენებულიყო ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე, მაგრამ ამ პრინციპს არ ქონდა

კონკრეტიული, აქტუალური ხასიათი, როგორც ეს ჩვენთვის საჭირო იყო.

ეს ის დრო იყო, როდესაც გამარჯვებული ანტანტა საკითხს აყენებდა იმდენათ, რამდენათაც ზავს პასუხი უნდა გაეცა ომის მიერ გამოწვეულ საკითხებისათვის. ამიტომ იმ დროს არ იყო ხელსაყრელი ატმოსფერა ჩვენი საკითხის პრაქტიკულად დაყენებისათვის.

თავისთავად ცხადია, რომ იმ საკითხებში, რომელიც ზავის საგანს შეადგენდა, ყოფილ რუსეთის პრობლემას მაშინაც უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა. მაგრამ იმ დროს ეს პრობლემა არ იდგა წესრიგის პირველ რიგში. კონკრეტიულად საკითხი იდგა იმის შესახებ, თუ რანაირი სახე, შინაარსი მიეღო ზავს გერმანიასთან. ამას კი მეტად ხანგრძლივი დრო მოუნდა. ამიტომ იყო, რომ ყოფილი რუსეთის საკითხის დღის წესრიგში დასმა მეტად დაგვიანდა. სხვა მრავალ მიზეზთა შორის ამის მიზეზი ისიც იყო, რომ კონფერენცია ძლიერ კარგათ ხედავდა, თუ რამდენათ რთული და ძნელი გადასაჭრელი იყო ყოფილი რუსეთის საკითხი. საზავო კონფერენციამ კარგათ იცოდა, რომ შეეხებოდა თუ არა ის ამ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრას, მაშინვე თავს იჩენდა ინტერესთა მრავალფეროვანობა, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ რუსეთის საკითხში კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოებს. თავის თავად ცხადია, იმ სახელმწიფოების საკითხი, რომელიც აღმოცენდნენ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე კონფერენციის შეხედულებით დაკავშირებული იყო რუსეთის საკითხთან. ამ რიგათ, კონფერენცია დღითი დღე სდებდა რუსეთის საკითხს და მასთან ერთად ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხსაც.

უნდა მივიღოთ აქ მხედველობაში შემდეგი საერთო მოსაზრება: მაშინ იმედი ჰქონდათ ახლო მომავალში რუსეთში სამოქალაქო ომის დასრულების და ისეთი ძალების გამარჯვებისა, რომელთანაც უფრო ადვილი იქნებოდა რუსეთის საკითხის მოწესრიგება.

გარდა ამისა, მიზეზი იმისა, რომ ჩვენმა საკითხმა აქტუალური ხასიათი ვერ მიიღო სასურველი სიჩქარით, იყო შემდეგი: ის ინტერესთა სხვადასხვაობა რუსეთის შესახებ, რომელზედაც ჩვენ ზევით მიუთითეთ, მეტად დიდ მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიქნა. თავიდანვე კონფერენციის ერთ მონაწილეს—საფრანგეთს ვერ წარმოედგინა იმ დროს რუსეთის დაყოფვა და დანაწილება. ეს იდეა იმდენათ შესისხლხორცებული იყო მმართველი წრეების და საზოგადოების მიერ, რომ ყოველივე ცდა ამ იდეის დარღვევისაკენ მიმართული იმ დროს უნაყოფო იყო. კონფერენციის მეორე მონაწილე ინგლისი, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა, მართალია რუსეთის შესახებ წინააღმდეგი აზრის იყო, მაგრამ არც ის სთვლიდა საჭიროდ იმ დროს აქტუალური პოლიტიკა ეწარმოებია ამ საკითხში და უფრო ხელსაყრელ დროს უცდიდა. გარდა ამისა, ჩვენ, როგორც სახელმწიფოს ერს, მთელი ჩვენი წარსულით და აწმყოთი, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ევროპაში სრულიად არ გვიცნობდენ. ასეთი იყო საზოგადოთ საერთაშორისო ატმოსფერა, რომელშიაც მოუხდა ჩვენს დელეგაციას პირველი ნაბიჯების გადადგმა. დელეგაციის ტაქტიკა ისეთი იყო, რომ სადაც კი საშვალება ჰქონდა თავისი ხმის მიწვდენისა, განურჩევლად წრეებისა, ეს ხმა უნდა მიეწვდინა.

თავის თავად ცხადია, რომ დელეგაციისათვის მეტად საინტერესო იყო, თუ ასეთ ძნელ პირობებში როგორ შეხედავდენ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს სოციალისტური წრეები. ეს ის დრო იყო, როდესაც სოციალისტური წრეები საფრანგეთში რუსეთის დიდი რევოლიუციის ზეგავლენის ქვეშ იყვნენ. ყველამ კარგათ იცის, თუ რა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მთელს კაცობრიობაზე რუსეთის რევოლიუციამ. როდესაც ჩვენი დელეგაცია ჩავიდა პარიზში, როგორც ვიცით, მაშინ რუსეთის რევოლიუციის მემკვიდრენი უკვე ბოლშევიკები იყვნენ. ბოლშევიზმი იმ დროს სოციალისტების თვალში მოცული იყო რუსეთის დიდი რევოლიუციიის ორეოლით.

სოციალისტურ წრეებს ჩვენ გადაჭრილი პასუხი მივეცით ორი საკითხის შესახებ: ინტერვენციის და ბოლშევიზმის შესახებ. ჩვენთვის მაშინაც ცხადი იყო, რომ გარეშე სამხედრო ძალების ჩარევით რუსეთის საქმის მოწესრიგება შეუძლებელი იყო, რომ რუსეთის ბოლშევიზმი, მიუხედავათ იმისა, რომ ის მიზნათ ისახავს ამ ხანათ რუსეთში სოციალიზმის დამყარებას და რუსეთის საშუალებით კი მთელ ქვეყანაზე, ის ცხოვრების პროცესში უნდა იქცეს უსაშინელეს რეაქციონურ მოძრაობათ; და ჩვენ ხაზი გაუსვით, რომ თუ საქართველოს სურს რაიმენაირად აიცდინოს ამ უსაშინელესი მომავალი რეაქციის ქარიშხალი, რომ შეინარჩუნოს თვისი ფიზიკური არსებობა და დიდი რევოლიუციით მონაპოვარი, ის (საქართველო) მტკიცეთ უნდა დაადგეს დამოუკიდებლობის გზას. საკმაო იყო ასეთი ცხადი და გადაჭრილი დეკლარაცია რუსეთის შესახებ, რომ ჩვენს საკითხს იმ ხანათ სოციალისტების თვალში სათანადო ინტერესი ველარ მოეპოვებია. რაც შეეხება კონფერენციას და არა სოციალისტურ წრეებს მათ მივმართეთ ჩვენი საკითხების შესახებ დაწვრილებითი განმარტებით, რითაც ვამტკიცებდით, რომ ერთად ერთი სწორი და ბუნებრივი გზა, რომ რუსეთის საკითხი, რომელიც ასე დიდათ აინტერესებდა კონფერენციას, სასურველათ გადაწყვეტილი იყო, როგორც რუსეთის ხალხისათვის, ისე საერთაშორისო დემოკრატიისათვის, ეს იყო გზა ყოფილ რუსეთის ერთა თავისუფალ თვითგამორკვევისა; რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა შექმნილიყო საღი ატმოსფერო, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ურთიერთობისა რუსის ხალხსა იმ ერებს შორის, რომლებიც შემორკალულნი და დამონავებულნი იყვნენ რუსეთის თვითმპყრობელობის დროს. ვინც რუსეთის წარსულს საკმაოდ კარგათ იცნობს, მისთვის ეს დებულება სრულიად ადვილათ გასაგებია. საუბედუროდ ევროპაში ამ ორი წლის ცხოვრებამ, სხვათა შორის, ერთი რამ აშკარად დაგვანახვა: მიუხედავათ იმ მნიშვნელობისა, რომელიც რუსეთს ჰქონდა ისტორიაში, დასავლეთი ევროპა, მეტი რომ არა ვსთქვათ, საკმაოდ მაინც ვერ იცნობს მას. ამიტომ საჭირო შეიქნა, რომ დასავლეთ ევროპას თავის თვალით დაენახა და განეცადა ის გაკვეთილები, რომელსაც რუსეთის ცხოვრება იძლეოდა. საჭირო შეიქნა მოვლენა კოლჩაკის, დენიკინის, ვრანგელის და სხვათა, რომ დასავლეთ ევროპაში მიმხვდარიყვნენ, რომ რუსეთის ძველ ფარგლებში გაერთიანება სრულიად მიუღებელი უტოპია არის. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გაკვეთილები განიცადეს, როდესაც შეითვისეს ის აზრი, რომ რუსეთის ძველ ფარგლებში გაერთიანებისაკენ მიმართული ცდა დაინტერესებულ სახელმწიფოს არსებით ინტერესებს დიდ ზიანს აყენებს. მხოლოდ მაშინ შეიქნა შესაძლებელი, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისათვის მეტი ყურადღება მიექციათ. ჩვენი საკითხის პრაქტიკულად დაყენებას ხელს უშლიდა აგრეთვე ერთი გარემოება: სახელდობრ ის, რომ ჩვენ—ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენელნი—ერთსულოვნად ვერ წავრდექით ვის წინაც ეს ჯერ იყო. ყოველ შემთხვევაში, დადგა მომენტი, როდესაც კონფერენცია ცხოვრების მიერ იძულებული შეიქნა მიეღო ჩვენი ფაქტიური ცნობა. ამის შემდეგ ჩვენს საკითხში კონფერენცია კვლავ შეჩერდა; ასეთ მდგომარეობაში იყო ჩვენი საკითხი მანამ, სანამ ობიექტიურმა პირობებმა კვლავ არ მიაქცია კონფერენციას თავისი ყურადღება ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისათვის. იმის ნიშნებმა, რომ პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის მოსალოდნელია ზავი, ვრანგელის მომავალსაც ხიფათი მოელის, ჩვენი იურიდიულად ცნობის საკითხს, იმ ხანად საკმაოდ აქტუალური ხასიათი მიაღებინა. და შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში იქნა შეტანილი. რასაკვირველია, დღევანდელ პირობებში არავის არ შეუძლია სთქვას, რომ ამ საკითხზე ჩვენ დღეს თუ ხვალ დასტურს მივიღებთ, მაგრამ ერთი ეჭვს გარეშეა; იდეია ჩვენი დამოუკიდებლობისა (დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ის სრულიად მიუღებლად მიაჩნდათ), დღეს საკმაოდ შეთვისებულია და ვიტყვით, რომ კიდევაც პოპულიარულია. პოპულიარული იმდენათ, რამდენათაც ჩვენ ამ ხნის განმავლობაში დავამტკიცეთ და დავანახვეთ ვისაც ჯერ იყო, რომ ჩვენი იურიდიულად ცნობა სასარგებლოა არა მარტო ჩვენთვის, არამედ იმათთვისაც, ვისგანაც დამოკიდებულია ამ საკითხის გადაჭრა. შეიძლება იფიქროთ, რომ ამ საკითხმა კვლავ დაჰკარგა ის აქტუალური ხასიათი, რომელიც მას ამ ბოლო დროს ქონდა, როცა მივიღებთ მხედველობაში იმას, თუ რა ბედი ეწვია ხალხთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხს, მაგრამ ჩემის აზრით, ასეთი დასკვნა სწორი არ არის. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენს იურიდიულად ცნობას საკმაოდ არსებით მნიშვნელობას აძლევენ და დღეს, როგორც ყოველ მნიშვნელოვან საკითხში, ამ საკითხშიაც დიდი რყევა არის. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხში საერთაშორისო მასშტაბით ხაზი უკვე აღებულია და ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს საკითხი ჩვენს სასარგებლოთ არ გადაწყდება.

(დასასრული იქნება)

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

23 დეკემბერი.

## გერმანული ცნობები

**საბერძნეთში.**

ბერძენ ხალხისადმი გაგზავნილ მიმართვაში კონსტანტინე კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ იგი კვლავ თავის ხალხთან იმყოფება. პლებისციტმა დაამტკიცა, რომ სიმართლეს წარმოადგენდა მამა ჩემის სიტყვები: „ჩემი ძლიერება ჩემი ხალხის სიყვარულში გამოიხატება. კონსტანტინეს მიზანია საბერძნეთში დაამყაროს წესრიგი და მშვიდობიანობა და საზღვარ გარეთ კი განამტკიცოს თავისი ქვეყნის ეროვნული პრესტიჟი. კონსტანტინეს სურს კეთილ განწყობილება დაამყაროს ანტანტასა და სერბიასთან.

**კომუნისტების დამარცხება.**

მეტალისტთა კავშირმა ბერლინში აირჩია კომიტეტი დამოუკიდებელ სოციალისტებისაგან, რომელსაც მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატებმა. კომუნისტები, რომლებიც ამდენხანს ამ კომიტეტს ხელმძღვანელობდენ, არჩევნებში ძლიერ დამარცხდენ.

**ერთა ლიგა და ამერიკა.**

თანახმად ამერიკის გაზეთების ცნობისა პრეზიდენტმა გარდინგმა განაცხადა, რომ ჩვენ ვერ გაუწევთ ანგარიშს ერთა ლიგას, ვინაიდან ევროპაში ისეთი მდგომარეობა არის, რომ მოკლე ხანში ევროპის სახელმწიფოები იძულებულნი იქნებიან მიმართონ ამერიკას თხოვნით დაიწესოს წესრიგი ცივილიზაციის ინტერესებისათვის. ეს იქნება მომენტი, როდესაც უნდა იქნეს მოწვეული ახალი კონფერენცია ვაშინგტონში. ამ კონფერენციამ უნდა მოაწესრიგოს ყველა საკითხები, ამასთანავე ვერსალის ხელშეკრულება უნდა შეიცვალოს ვაშინგტონის ხელშეკრულებით. ნიუ-იორკის დეპეშები აცხადებენ, რომ გარდინგმა საბოლოოთ გადაწყვიტა არ მიაქციოს ყურადღება ვერსალისა და ერთა ლიგის ხელშეკრულებებს. ამერიკის სენატორი, მაკკორმიკი, გარდინგის ახლო მეგობარი გაემგზავრება ხვალ ბერლინში, რათა გაეცნოს ევროპის მდგომარეობას.

## ლიონის ცნობები

**მოკავშირეთა კონფერენცია.**

თანახმად ოფიციალურ ცნობებისა საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის პრემიერ-მინისტრების კონფერენცია გაიხსნება დეკემბრის 28 ნიცაში ან დაკანაში.

**დეპუტატთა პალატაში.**

დეპუტატთა პალატის სხდომაზე სულიე დაბეტონი შეეკითხენ მთავრობას ბოლშევიკურ პროპაგანდისა და როიალისტების მოქმედების შესახებ. დეპუტატებმა უკმაყოფილება გამოსთქვეს იმის გამო, რომ მთავრობა ვერ იღებს ენერგიულ ზომებს ბოლშევიკების წინააღმდეგ. ცენტრმა და მარჯვენა ფრთამ ტაში დაუკრეს, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობასა და პალატის უმეტესობის შორის მუდმივი კავშირი უნდა იყოს და დაასრულა თავისი სიტყვა რესპუბლიკანურ პოლიტიკის გატარების მოთხოვნით. სოციალისტმა ბერტონმა მოითხოვა ზომების მიღება როიალისტების მოქმედების წინააღმდეგ.

**საფრანგეთის სოციალისტები.**

ტურეში შობის დღეებში სოციალისტების ეროვნულ პარტიის კონგრესი გაიხსნება. კონგრესზე სამ რეზოლიუციას წარადგენენ: 1) კაშენი მოითხოვს მოსკოვის ინტერნაციონალთან შეერთებას. 2) ლონგე შეიტანს წინადადებას ახალ ინტერნაციონალის შექმნისა. 3) ბლიუმის წინადადება მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ იქნება მიმართული. კომუნისტები კაშენის მომხრენი და ლონგეს მომხრენი ერთმანეთს შეებრძოლებიან. სოციალისტების პარტიაში განხეთქილება, როგორც ფიქრობენ აუცილებლად მოხდება. მთელი საკითხი იმაშია, რომ გამოარკვიონ, თუ რამდენათ საგრძნობი იქნება ის ჯგუფი, რომელიც მოსკოვის ინტერნაციონალს მიეკედლება. პარლამენტის სოციალისტური ჯგუფი სამის თუ ოთხის გამოკლებით გადაჭრით წინააღმდეგია ლენინის მოქმედებისა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, დიდი უმეტესობა კაშენის რეზოლიუციის მომხრეა.

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა. ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.**

◆ **საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან.** 1) საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო ბაქოდან საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელი გ. ხუნდაძის დეპეშა, რომლის თანახმად 20 დეკემბერს ბაქოდან გამოუგზავნიათ საქართველოში ორი სამარშრუტო მატარებელი ნავთი, ერთი 55 ვაგონით და მეორე 53-ით. მესამე მატარებელი გამოვიდა ბაქოდან 21 დეკემბერს.

2) საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო მოსკოვიდან საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლის გ. მახარაძისაგან შემდეგი დეპეშა: „ჩემი წინადადების პასუხად უკრაინის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა რაკოვსკიმ 3 დეკემბრის № 2174 დეპეშით მაცნობა, რომ უკრაინის საბჭოთა მთავრობა მზად არის შეუდგეს საქართველოსთან ხელშეკრულების შემუშავებას. მოლაპარაკების ადგილად ასახელებს მოსკოვს“.

◆ **კ. ჩხეიძის, კ. კანდელაკის და ფ. გოგიჩაიშვილის ჩამოსვლა.** დეკ. 22 ღამის 12 საათზე დაბრუნდა თფილისში ევროპიდან საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდენ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე კ. ჩხეიძე, ფინანსთა მინისტრი კ. კან- ლაკი და სახელმწიფო კონტროლიო- ფ. გოგიჩაიშვილი. დელეგაციას ს- გურზე შეეგებნენ დამფუძნებელი კრე- თავმჯდომარის ამხანაგი ს. მ- მომარაგების მინისტრი გ. ერაძე, ფი- ნანსთა მინისტრის ამხანაგი ს. ავალ- ნი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამ- ნაგი საბახტარაშვილი, ფინანსთა მინისტროსა, გზათა მიმოსვლისა სხვათა წარმომადგენლები. (სდ).

◆ **კომუნისტური გაზეთების შე- რების გამო.** ზოგიერთ გაზეთებში დ- ბეჭდა, რომ გაზეთები რუსული ქართული „კომუნისტი“ დაიხურა შ- გან საქმეთა მინისტრის განკარგულებ- საჭიროა განცხადებულ იქნას, რ- ხსენებული გაზეთები დაიხურა თფი- სის ოლქის სასამართლოს დადგენი- ბით, თანახმად სასჯ. დებ. 123 და 1- მუხ. (სდს).

◆ **ყალბი ცნობების წინააღმდ-** შინაგან საქმეთა სამინისტრომ მი- თა თფილისის პრესბიუროს შემდ- წინადადებით: „როგორც მომარაგებ- სამინისტრო იუწყება, ადგილობრ- პრესაში ხშირად ათავსებენ სრულ- ყალბ ცნობებს სასურსათო ოპერაც- ბის შესახებ, რასაც შეაქვს საგრძნო- შეფერხება სამინისტროს საქმეებ- გაცნობებთ რა ამას, მინისტრის ამ- ნაგის დავალებით გთხოვთ მიიღოთ ზ- მები, რათა შემდეგში არ იქნას გამ- ქვეყნებული მომარაგების სამინისტრ- ნებადაურთველად რაიმე ცნობები ა- ნიშნულ სამინისტროს მოქმედების შ- სახებ.“

◆ **საქართველოში მყოფ ანგორ- წარმომადგენლის ცნობა.** საქართველ- ში მყოფ ოსმალეთის ნაციონალურ- ყრილობის სრულუფლებიანი წარმ- დგენელი იუწყება, რომ აღმოსავლ- ფრონტის სარდლობის მიერ მიღებ- ცნობის თანახმად საქართველოს ტე- ტორიაზე მყოფ სომხებს უფლება ა- წინასწარ კონტროლის შემდეგ სომ- შიკრიკების შემწეობით გაუგზავნ- ყარსში მყოფ სომხებს წერილები, ფ- ლი და სხვა ნივთები. სრულუფლებიან- წარმომადგენელი ყოველგვარ დახმარ- ბას გაუწევს აღნიშნულ შიკრიკებს.

◆ **სასურსათო განყოფილება აცხ- დებს:** ცნობა მოვიდა, რომ ზოგიერ- პირები ცდილობენ რეკვიზიცია უ- ღორის ხორცს, რომელიც შესამოწმე- ლათ არის გამოტანილი. ამ გვარი ც- არის უკანონოთ და ბაზარზე შეუმოწ- ბელ ხორცის გამოტანას იწვევს. ამ- გამო სასურსათო განყოფილება აცხ- დებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რო- მიკროსკოპიულ სადგურებზე არავით- რეკვიზიცია არ სწარმოებს და არც იძლევა სწარმოებდეს. იმ შემთხვევაში თუ ვინმე მოინდომებს ღორის ხორცის რეკვიზიციას, დაუყონებლივ უნდა წყოს სასურსათო განყოფილებას.

◆ **„სახალხო გვარდიელი“.** 192- წლის 1 იანვრიდან სისტემატიურ- გამოვა სახალხო გვარდიის მთ- შტაბის ორ-კვირეული ჟურნალი „ს- ხალხო გვარდიელი“. ჟურნალში მო- თავსებული იქნება სამეცნიერო პო- ტიკური, ისტორიული ხასიათის წე- ლები: ოფიციალური განყოფილება სხვადასხვა, ქრონიკიდან მოსულ კ-

## კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

17 დეკ. სხდომა.

რ. არსენიძის სიტყვა.*)

(დასასრული)

ჩვენ მოგახსენეთ, რომ მთავარი გარანტია კონსტიტუციისა არის ხალხის თვითმოქმედებაში და აღმასრულებელ ხელისუფლებათა კონსტრუქციაში და არა სასამართლოსთვის კონტროლის უფლების მინიჭებაში. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მართლა გარანტიას.

ახლა გადავიდეთ მეორე და მართლა დამახასიათებელ თვისებაზე ჩვენი კონსტიტუციისა. ეს არის კონსტრუქცია აღმასრულებელი ხელისუფლებისა და კონსტრუქცია ადგილობრივ თვითმართველობათა.

აქ ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევდენ პრეზიდენტობის საკითხს და ყველაზე ნაკლებს თვითმართველობის საკითხს. მე კი ვამბობ—ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს თვითმართველობათა საკითხის მოწესრიგებას და უფრო ნაკლები აღმასრულებელ ხელისუფლების, პრეზიდენტურ თუ უპრეზიდენტო სისტემის მიღებას. კონსტიტუციური თვალსაზრისით კი დემოკრატიისათვის პირველი, ე. ი. თვითმართველობის უფლებები უაღრესად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, პრეზიდენტი ცალკე იქნება თუ მთავრობის შემადგენლობაში იქნება, ერთ-ერთ წევრად შესული. საერთოდ იურიდიულ მეცნიერებაში პრინციპი აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანიზაციისა ცნობილია. დემოკრატიულ იურიდიულ მეცნიერებას უდაოთ მიაჩნია ერთი რამ—კოლეგიალობა აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანიზაციისა.

ეს არის აუცილებელი პირობა დემოკრატიულ მართვა გამგეობისა. ეს სავსებით გატარებულია ადგილობრივ თვითმართველობაში და უნდა იქნას გატარებული ცენტრალურ მართველობაშიაც. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს სჭირდება თავის წარმომადგენელი საერთაშორისო ურთიერთობაში,—მაინც ეს წევრი, გამომხატველი ხალხის მთლიანობისა, არის წევრი კოლეგიისა და იგი მონაწილეა ამ კოლეგიის საერთო მუშაობის და მოქმედების. და ის ფრაზა, რომელიც არის კონსტიტუციაში ამის შესახებ—მკაფიოდ გამოხატავს ამ აზრს. პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს წევრი კოლეგიისა და არა დამოუკიდებლად ცალკე, საგანგებოთ ამისთვის შექმნილი ინსტიტუტი პრეზიდენტისა. ეს არის იურიდიული გამოხატულება იმისა, რომ სახელმწიფოებრივი ფუნქციები შესრულებული იქნება, მაგრამ კოლეგიისაგან. ჩვენი კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული დაარსება ცალკე დამოუკიდებელი ორგანოსი, განკერძოებული ორგანოსი, რომელიც ერთი პირისაგან უნდა შედგებოდეს, ე. ი. პიროვნული იყოს, და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმე ხელთ ეპყრას. ჩვენი კონსტიტუცია არ ქმნის პიროვნული ორგანიზაციას, არამედ მხოლოდ კოლეგიურ ორგანიზაციას. ეს არის თვითმართველობის პრინციპის გატარება ცენტრალურ მართველობის მოწყობის დროსაც. ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა და არა იმას, თუ რამდენი უფლება ეძლევა მინიჭებული ამა თუ იმ წევრს კოლეგიისას. მთავარი არის კოლეგიალობა თუ ინდივიდუალობა, კოლეგიური, თუ პიროვნული ხელისუფლების შექმნა.

მეორე საკითხი გახლავთ უფლებათა განაწილების საკითხი. ეს საკითხი ორნაირად უნდა იქნეს დაყენებული: უფლებათა განაწილება პარლამენტსა და აღმასრულებელ ძალის შორის და უფლებათა განაწილება ცენტრალურ მართველებსა და ადგილობრივ თვითმართველობათა შორის. პირველში მიღებული გვაქვს პარლამენტის უპირატესობა. პარლამენტი ჩვენი კონსტიტუციით არის არა მარტო კანონმდებელი, არამედ ის არის კონტროლის გამწევი აღმასრულებელ ხელისუფლებისა მის მოქმედებასა და მუშაობაში. მას ეძლევა გადაჭრა მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც არის ჩამოთვლილი კონსტიტუციის პროექტის 61 მუხლში და რომელიც შეიძლებოდა საერთო წესით დაქვემდებარებოდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. ასე, მაგ., ომის და ზავის საკითხი, ბიუჯეტის და სხვ. და აი, სწორედ აქ გამოიჩინეს ერთგვარი უკიდურესობა დემოკრატიზმის გატარებაში სოც. რევოლიუციონერებმა. მათ ამ ტრიბუნიდან განაცხადეს, რომ ეს უნდა გადავცეთ ხალხს პირდაპირ გადასაწყვეტათ, ე. ი. ომის და ზავის საკითხი ხალხმა რეფერენდუმით უნდა გადაჭრას ყოველ შემთხვევის დროს. საერთოდ ცნობილია, რომ უფრო დემოკრატიულია ის, რომ ყველა საკითხები გადავცეთ ხალხს, მაშასადამე, რაც უფრო მეტს საკითხებს გადავცემთ ხალხს, პრინციპიალურად, დემოკრატიზმი მეტი იქნება. მაგრამ საკითხი ყოველთვის იმაში კი არ არის, სად იქნება საკითხი გადაჭრილი, არამედ იმაში, სად იქნება მეტი საშუალება თავდაცვისათვის და შინაგან ძალთა განვითარებისათვის. და როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სამხედრო ხაზზე, ჩვენ უნდა ვეყრდნობოდეთ, არა მარტო შინაგან ძალთა განწყობილებას, არამედ საგარეო ძალთა ურთიერთობას. სოც.-რევოლიუციონერებს უნდათ დაიწყონ დაუნდობელი ბრძოლა დღესვე ყოველგვარი დაჩაგვრის წინააღმდეგ, სახამ საერთო სოლიდარობა არ განხორციელდება. სახელმწიფოსთვის ეს ნიშნავს მუდმივ ომს. ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვართ ქვეყანა ნეიტრალური. მაშასადამე ჩვენ ომებს არ ვაწარმოებთ. ეს არის მთავარი დებულება ჩვენი რესპუბლიკისა, იგი ნეიტრალური ქვეყანაა, ომის გამოცხადება მას არ შეუძლია, არ აქვს უფლება თვით დაესხას თავზე ვისმე. მას შეიძლება თავს დაესხან, იგი მაშინ ხმალს მოჰკიდებს ხელს, მაგრამ, რადგან რესპუბლიკა ნეიტრალურია, მას არ შეუძლია თავდასხმითი ომები აწარმოოს, ეს არის, როგორც მოგახსენეთ ერთი მთავარი დებულება კონსტიტუციის და ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენთვის. ამიტომ ომის საკითხი ჩვენ წინ დგება, როგორც თავდაცვის საკითხი. და ამ დროს სოც. რევოლიუციონერები ისეთ პრინციპს გვახვევენ თავზე. ვთქვათ თქვენს თავს დაესხენ და თქვენ მაშინ შეეკითხეთ ხალხს, ჯარი მოვაგროვოთ თუ არაო: მე გეკითხებით რესპუბლიკის დაცვას რომელი დროისთვის სდებთ? ეს არის სრული უთანასწორობა რეალურ ძალთა ურთიერთობისა და პრინციპების შეგუების შორის, ეს არის უარყოფა ამ პრინციპების შეგუებისა ცხოვრებასთან. ზოგადი პრინციპი ამბობს, რომ ომი და ზავი აცხადოს ხალხმაო, მაგრამ როდესაც შენ კი არ აცხადებ ომს არამედ თავს გესხმიან,—მაშინ არ არის დრო ხალხის შეკითხვისა; ის იმწამსვე, პირველ დაძახებისათანავე უნდა ხმალ ამოღებული გამოვიდეს; და ამიტომ ჩვენ კონსტიტუციაში სწორია რომ ომის საკითხის გადაჭრა ევალება პარლამენტს. ჯერ მთავრობასაც აქვს უფლება მიიღოს დაცვის ზომები, შემდეგ ის იწვევს დაუყონებლივ პარლამენტს და ეს უკანასკნელი, როგორც მთავარი გამგებელი ჯარისა, მოიწვევს მას და გაუძღვება გამარჯვებისაკენ. კონსტიტუციისათვის მთავარია, ძალთა განწყობილება და არა ის, რომ ჩავწეროთ დემოკრატიული პრინციპები კონსტიტუციაში და შემდეგ კი რესპუბლიკას მოგვივიდეს ზიანი, თან გადაყვეს მათ განხორციელებას. ამგვარად ეს მთელი რიგი აღმასრულებელ ხელისუფლების ფუნქციათა უნდა გადავცეთ პარლამენტს და არა პირდაპირ ხალხს—ეს ჩვენი რესპუბლიკის არსებით და მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამ მოთხოვნილების სახელით ვერც ერთი ვერ დაასაბუთებს იმის საჭიროებას, რომ ეს უფლება ომის და ზავის საკითხის უნდა იქნას გადაცემული თვით ხალხზე სარეფერენდუმოთ. ვიმეორებ, ამას ხალხის ინტერესების სახელით ვერავინ ვერ დაასაბუთებს. ეს უნდა იყოს, მაშასადამე, უფლება პარლამენტისა, რომელიც იგი უზენაესობს. ის განაგებს ყველა იმ შეიარაღებულ ძალებს, რომელიც მოეპოვება რესპუბლიკას. მის შემდეგ განაგებს მთავრობა, რომელსაც ის მიანდობს ამა თუ იმ ფუნქციათა და მოვალეობათა ასრულებას. აქ გატარებულია პრინციპი მთავრობის დამორჩილებისა პარლამენტისადმი, და ამ დამორჩილების ფორმების შემუშავებაშიაც ჩვენი კონსტიტუცია შეიცავს ერთგვარ თავისებურობას, რომელშიაც შეხავებულია ორი პრინციპი: პრინციპი პირდაპირი მორჩილებისა ე. ი. პრინციპი დავალების ასრულებისა, და მეორე მხრით პრინციპი პოლიტიკურ პასუხისმგებლობისა. ჩვენ მიერ მიღებული პრინციპით პარლამენტი ირჩევს მთავრობის თავმჯდომარეს.

პარლამენტი ირჩევს იმას, ვინც გამოსახავს მისი პოლიტიკის ხაზს, ვინც ამ მთავარი ხაზის განმხორციელებელია. მაშასადამე, პარლამენტი აძლევს მთავარ პოლიტიკურ გეზს მთავრობას მისი თავმჯდომარის არჩევით. და ეს მთავრობის თავმჯდომარე უნდა იყოს მორჩილი პარლამენტის ყველი პოლიტიკური გადაწყვეტილებისა. სამინისტროები რჩება აღმასრულებლად ამ ხაზისა და მის ასრულებაში აძევთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მათ უნდა აასრულონ ეს ხაზი და გაატარონ ის სისწორით და სრული კანონიერების დაცვით. ყოველივე გადახვევა ამ პოლიტიკიდან, აუსრულებლობა ამ პოლიტიკურ ხაზისა იწვევს პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე და თუ პარლამენტს არ მოეწონება მათი მოქმედება,—იგი მაშინ მოითხოვს მათ გადაყენებას. ასეთია ეს შეხავება ამ პრინციპებისა.

წინდაწინ თქმა იმისა, თუ რა შედეგებს მოიტანს ეს პროექტი,—შეუძლებელია. მაგრამ თუ გადავავლებთ თვალს დღევანდელ ჩვენს პრაქტიკას დავინახავთ, რომ ასეთი შეხავება გვაძლევს საერთოდ მტკიცე და მომქმედ მთავრობას, რომელსაც ხელი გაშლილი აქვს სამოქმედოთ, მაგრამ არ აქვს უფლება სწორი გზიდან გადახვევისა. ამ მხრივ ის წარმოადგენს შეხავებულ პრინციპს კოლეგიალურ მორჩილებისა და ამავე დროს პარლამენტის წინაშე სრული პასუხისმგებლობისას.

მთავარი საკითხი ნამდვილი დემოკრატიულ ურთიერთობის დამყარების არის დამოკიდებულება თვითმართველობისა და ცენტრალურ მართველობის შორის. ამის შესახებ ამ ტრიბუნიდან დღემდე არავინ არაფერს ლაპარაკო- თუმცა ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ურთიერთობა, რომელიც დამყარებ- ლია ამ საკითხში ჩვენი კონსტიტუცი- არსად არ არის გატარებული გა- ორითოდე მცირე კანტონებისა შ- ცარიაში. (ლორთქიფანიძე.—ე- არის თავისუფლება) ჩვენი აღმასრუ- ბელი ძალა კონსტიტუციის ძალ- საფუძვლით ეყრდნობა ადგილობრივ კ- მუნას. ამ მხრივ შეიძლება მას ვუწ- დოთ კომუნალური წყობილება. მა- რი საფუძველი, საიდანაც გამომდ- რეობს საერთოდ შემოქმედება და ძ- რესპუბლიკის ყოველ აღმასრულებელ შაობისა,—ეს არის ადგილობრივი თვი- მართველობა, ადგილობრივი კომ- (შენგელაია,—ეს თქვენ კონსტიტუცი- ში არ არის! ჩვენს კონსტიტუციაში გახლავთ!.) ჩვენს კონსტიტუციაში მკაფიოდ სჩანს ეს, რომ გარდა შენგელაიასი, ამის წინააღმდეგ ვერ- ვერაფერს ვერ იტყვის. მე ვამბობ, რო- დესაც ამ მხრივ ხდება ერთიან დ- ყრდნობა ცენტრალურ მართველობ- ადგილობრივ კომუნაზე, სახის მი- არჩეულ კომუნაზე,—აქ არის მკაფ- გატარებული უაღრესი ბატონობა ხა- ხისა, რომელიც ამით პირდაპირ უშუალოთ იღებს მონაწილეობას ა- სრულებელ ძალის შექმნაში და ა- მის მუშაობაში.

ეს ერთად ერთი და საუკეთესო ფ- მაა ხალხურ მართველობისა აღმას- ლებელი ხელისუფლების სფეროში. ხა- ხი ირჩევს ადგილობრივ თვითმართ- ლობებს, კომუნებს და ამით სახელმ- ფოებრივ ორგანოებს ჰქმნიან. ეს ა- სრულიად განსაკუთრებული, განმ- რებელი დებულება ჩვენი კონსტი- ციისა, სხვა კონსტიტუციებთან შ- რებით.

მე არაფერს ვიტყვი ამაზე, რადგ- საუკეთესოდ და მკაფიოდ უკვე იღ- რაკა ამის შესახებ ჩვენი ფრაქცი- ორატორმა ნ. ჟორდანიამ, მაგრამ მე მაინც ხაზს ვუსვამ ამ გარემოებ- იმიტომ, რომ არც ერთ ორატორს, ა- მოწინააღმდეგეს და არც მომხრეს მიუქცევია ამისთვის სათანადო ყურ- ღება მაშინ, როდესაც ის ძირითადი კითხია კონსტიტუციის წყობაში.

*) დასაწყისი იხ. „ერთობა“ № 293

რესპოდენციების სისწორეს უნდა ამოწმებდეს ადგილობრივი შტაბის სექციები. მისამართი: თფილისი, სახ. გვარდიის მთავარი შტაბის კულ. განმანათლებელი განყოფილება, ჟურნალ „სახალხო გვარდიელისათვის".

◆ **მეწყერი ტყვიბულის რკინის გზაზე.** 15 და 16 დეკემბერს ჩამოწოლილმა მეწყერმა საგრძნობლად დააზიანა რკინის გზის ლიანდაგი ტყვიბულის შტოს მე-30 ვერსზე, რამაც გამოიწვია მატარებელთა მოძრაობის შეჩერება. მიღებული ზომები. მოძრაობა 18 დეკემბერს იქნა აღდგენილი.

◆ **შეშის დამზადება.** ქალაქთა კავშირმა ხეთის რაიონში დეკემბრის პირველ ნახევარში დაამზადა 1200 კუბ. საჟ. შეშა. ამ ჟამად ყოველ დღე მზადდება 150 კუბ. საჟენამდე.

◆ **თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება** იწვევს სამსახურში გამოცდილ მოანგარიშეთ. აუცილებლათ საჭიროა სახელმწიფო ენის ცოდნა. თხოვნები საჭირო ცნობების აღნიშვნით მიიღება განყოფილებაში ყოველ დღე (შტაბის და დამფუძნებელ კ. კუთხე).

◆ **ტყვარჩელის ქვანახშირი. სამთო სამმართველომ** მიიღო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ფინანსთა მინისტრმა იტალიის წარმომადგენლებთან. ხელშეკრულება ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავებას შეეხება. იტალიის მწარმოებლებს განზრახვა აქვთ მუშაობა ფართოდ მოაწყონ.

◆ **სტუდენტთა შორის.** დღეს, საღამოს 6 საათზე სალიტერატურო წრეში მე-2 აუდიტორიაში სტ. ბესარიონ კაზირია წაიკითხავს რეფერატს შემდეგ თემაზე: „კალმასობა". დასწრება შეუძლიათ არა წევრებსაც.

◆ **„ეშმაკის მათრახი".** უქაღალდობის გამო შეჩერებული „ეშმაკის მათრახი" ისევ იწყებს გამოსვლას. მორიგი ნომერი გამოვა საახალწლოთ.

◆ **ხილეულობის დარგის უფროს სემესტრთა (4, 5, 6) სტუდენტების საყურადღებოთ.** დანიშნულია კრება პარასკევს საღამოს 5 ს. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები და ასარჩევია დარგის რწმუნებული.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი** მოუწოდებს თავის წევრებს შემოიტანონ ხვედრი გადასახადი პარტიული ფონდისათვის და მით ხელი შეუწყონ ორგანიზაციულ მუშაობას.

◆ **საგურამოს თემის ხმოსანთა** მეოთხე ყრილობა მიესალმება ერის უზენაეს ორგანოს დამფუძნებელ კრებას და ფიცს სდებს, რომ ბრძოლაში გაწვრთნილი არაგვის ხეობა მთლიანად შეიკრიბება მის დაძახილზე და მტრებს არ გააქელვინებს ძვირფას სამშობლოს და სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას. ყრილობის თავმჯდომარე ლავრენტი ძიძიგური.

**კრებები.**

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება მეოთხე რაიონის ს. დ. ქალთა ორგანიზაციის წევრთა კრება.

— კვირას, 26 დეკემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს დარბაზში თფ. ქალ. თვით. სასურსათო განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება.

— დეკემბრის 24-ს, საღამოს 5 საათზე ქალთა 1-ლ გიმნაზიაში შესდგება საზოგადო კრება თფილისის ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლების მასწავლებელთა.

— პარასკევს 24 დეკემბერს საღამოს 5 საათზე ნაძალადევის თეატრში შესდგება 1-ლი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება. წევრების დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, სღ. 6 საათზე დანიშნულია მე 4 რაიონის ს. დ. ქალთა ორგანიზაციის კოლექტივის ჩვეულებრივი კრება.

## ფრონტისთვის

**თფილისის სასტუმროების პატრონთა საყურადღებოთ.**

მოქალაქენო! საქართველოს რესპუბლიკის სახელოვანი გვარდია და ჯარი თავიანთ მკერდით იცავენ სამშობლოს საზღვრებს და თავისუფლებას. ჩვენი ვალია დავეხმაროთ მათ. დეე, დარწმუნდეს მუხანათი მტერი, რომ მთელი ქართველი ერი, მიუხედავათ შინაური სხვადასხვაობისა, ერთსულოვნათ იცავს თავის სამშობლოს.

თფილისის სასტუმროების მეპატრონეთა კავშირის გამგეობამ მთავარ ფრონტის დამხმარე კომიტეტთან შეთანხმებით გადასწყვიტა თფილისის ყველა სასტუმროების ერთი დღის ნავაჭრის 50% გადასცეს მთავარ კომიტეტს ფრონტის სასარგებლოთ. ფულის შეგროვება მოხდება „ფრონტის დღე", ე. ი. 25 და 26 დეკემბერს.

მოქალაქენო! სასტუმროების პატრონებო! დაეხმარეთ ფრონტს. ყველანი უნდა მივდეთ „ფრონტის ხესთან", რომელიც აღმართული იქნება 25 და 26 დეკემბერს სასახლის წინ და თავიანთი წვლილი გაიღონ.

სასტუმროების მეპატრონეთა გამგეობის თავმჯდომარის აღმასრულებელი **პ. ულენტი.**

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

**რუსეთის შინაური და საგარეო მდგომარეობა.**

„პეტ. პრავდაში" დაბეჭდილია მოხსენება ლენინისა, რომელიც მან გააკეთა რ. კ. პ. მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე. თავის მოხსენებაში ლენინი ეხება საერთაშორისო მდგომარეობას და დიდხანს ჩერდება იმის განმარტებაზე, თუ როგორ გასძლო 3 წლის განმავლობაში სოციალისტურმა სახელმწიფომ. ეს ლენინს მიაჩნია უკვე გამარჯვებათ და ამას ხსნის იმ გახრწნის პროცესით, რომელიც სწარმოებს იმპერიალისტურ ანტანტის ქვეყნებში და ამ ქვეყნებს შორის არსებულ ინტერესთა წინააღმდეგობით.—ამას ანგარიშს უწევდა საბჭოთა მთავრობა და ისეთს პოლიტიკას აწარმოებდა, რომ მუდამ ცხადი ყოფილიყო ეს წინააღმდეგობა,—ამბობს ლენინი; ამის გამო მოხდა ის, რომ შეიარაღებული ძალების მხრით სუსტმა საბჭოთა რუსეთმა მოახერხა მათი ჯარების შეჩერება,—მათ ვერ შესძლეს მოეკრიბნათ მთელი ძალ-ღონე. უცხოელთათვის კონცესიების მიცემას ლენინი აგრეთვე საბჭოთა რუსეთის გამარჯვებათა სთვლის. ეხება რა კავკასიას,—ლენინი ამბობს: „კავკასიაში ეხლა ისეთი სერიოზული პირობები შეიქნა, რომ მათში გარკვევა მეტად ძნელი საქმეა; ამავე დროს ჩვენ შეიძლება ყოველ წუთში მოგვახვიონ თავს ომი. რასაკვირველია, ეს ომი, პოლონეთთან უზრუნველყოფილ ზავისა და ვრანგელის სრული ლიკვიდაციის გამო, არ იქნება ჩვენთვის ძლიერ საშიში და თუ ჩვენ იგი თავს მოგვახვიეს,—მაშინ ეს წინანდელზე უფრო გააძლიერებს ჩვენ მდგომარეობას.

გაზეთები გვაუწყებენ იმის შესახებ, რაც ხდება სომხეთში და ოსმალეთში, რაც გვაძლევს ჩვენ განსაზღვრულ წარმოდგენას შექმნილ მეტად რთული მდგომარეობის შესახებ მაგრამ მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ დავაღწევთ მას თავს და შევინარჩუნებთ ზავს ეხლანდელ საფუძვლებზე, რომლებიც ზოგიერთი მხრივ არ არიან ხელსაყრელი იმით, რომ არ იძლევიან სამეურნეო არსებობის შესაძლებლობას. ამისთვის ჩვენ ყოველნაირათ ვზრუნავთ. მაგრამ, შესაძლებელია, რომ გარემოებები პირდაპირ მოგვახვევს თავს ომს ან და დაგვაახლოვებს მასთან. მაშინ ჩვენ შეგვეძლება ამის შესახებ თამამად ვსთქვათ: „ეს იქნება ომი შორეულ განაპირა ქვეყანაში ჩვენ მხარეზე სრულ ძალთა უპირატესობის პირობებში, რაც ალბათ, უზრუნველჰყოფს უფრო დიდ მოგებას, ვიდრე ის, რომელიც მიღებული იყო პოლონეთის ომისაგან. პოლონეთის ომი იყო ორ ფრონტზე: ომი —ვრანგელის მუქარასთან ერთად, ომი, რომელსაც არ შეიძლება საგანაპირო ვუწოდოთ, იმიტომ, რომ პილსუდსკის ბაზა მოსკოვიდან დიდათ დაშორებული არ ყოფილა. („პეტ. პრავდა" № 265).

**შინაური ფრინველების „რაზვერსტკა".** „სარკომპროდამ", მიიღო რა მხედველობაში ყოველწლიური შემცირება ხორცის ფონდისა, გამოსცა დეკრეტი სოფლელთაგან ფრინველების შეგროვების შესახებ. ნავარაუდევია 830 ათასი ფუთი ფრინველის მოგროვება. (ამაში არ შედის ციმბირი და უკრაინა). არხანგელსკის, ასტრახანის, ოლონეცის, პეტროგრადის და ჩერეპოვეცის გუბერნიები, სადაც თითქმის სრულიად არა ჰყავთ ქათმები, განთავისუფლებულია ამ ბეგარისაგან. ეს ბეგარა (თითო გირვანქა ფრინველი დესეტინიდან, ზოგიერთ ადგილებში კი ნახევარი გირვანქა) თავისთავათ ძლიერ ადვილი საქმეა და არ იქნება გლეხებისთვის ძნელი. ასე, საშვალო გლეხის მეურნეობაზე, რომელსაც აქვს თემში ოთხი დესეტინა სათესი მიწა, მოდის სულ ახალგაზრდა ქათმების ან იხვების ერთი წყვილი. სახელმწიფოსათვის კი ფრინველების მოგროვება ძლიერ საჭიროა, რადგანაც ამით გამოკვების გაუმჯობესების შესაძლებლობასთან ერთად იქნება მოგროვილი 20 ათასი ფუთი ბუმბული, რომელიც მეტად ძვირფასია საზღვარგარეთთან საქონლის გაცვლა გამოცვლის საქმეში. ფრინველების მოგროვება უნდა დასრულდეს 1921 წლის იანვრის შუა რიცხვებამდის. („ბედნოტა" № 789).

**გლეხის მეურნეობა და საბჭოთა ძალა უფლება.** ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზე ჩვენს სოფელში, ბუკრინოში (რიაზანის გუბერნიაში) გაიმართა მრავალრიცხოვანი კრება. მოვიდნენ ყველა სოფლის საბჭოები მთელი ვოლოსტიდან, კოოპერატივების წარმომადგენლები, მასწავლებლები და ვოლოსტის სხვა დაწესებულებათა დელეგატები. პარტიის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელმა—ამხ. ჩილიკინმა, რევოლიუციის მნიშვნელობის დახასიათების შემდეგ, მოუწოდა კრებას მიეღო შემდეგი რეზოლიუცია: „ვდღესასწაულობთ რა რევოლიუციის მესამე წელს, ჩვენ ყველა აქ მყოფნი ვაცხადებთ, რომ მთელი ჩვენი ძალ-ღონით მხარს დავუჭერთ საბჭოთა მთავრობას. თავმჯდომარემ, ამხ. დერგაჩევმა (კომუნისტმა) იკითხა—არის თუ არა სხვა რეზოლიუციები. მაშინ წამოდგა ფილიპე რომანოვი, წინათ პარტიიდან გამორიცხული უხეშობისა და მცხოვრებთა წინაშე დაუშვებელ ყოფა-ქცევის გამო და შეიტანა წინადადება შეევსოთ რეზოლიუცია შემდეგი სიტყვებით: „რათა საბჭოთა მთავრობამ არ გაანადგუროს გლეხის ინდივიდუალური მეურნეობა და ანგარიში გაუწიოს გლეხებს". თავმჯდომარემ შეიტანა წინადადება არჩეულიყო კომისია სამი კაცისაგან შემდგარი, რომელიც რომანოვს ეთანხმებოდნენ, და შეემუშავებინათ მასთან ერთად რეზოლიუცია. კომისიაში შევიდნენ სამი უპარტიო: თვით რომანოვი, პუგაჩევი და პეტრე ბარანოვი. ბოლოს კომისიამ თავისი აზრი შემდეგნაირათ გამოსთქვა: „ჩვენ ვთხოვთ საბჭოთა მთავრობას არ გაანადგუროს ჩვენი გლეხური ინდივიდუალური მეურნეობანი, რადგანაც ჩვენის აზრით ის არის საწინდარი როგორც ჩვენი, ისე საერთოდ სახელმწიფოს, მომავალ კეთილდღეობისა". („ბედნოტა" № 789).

**რა დამხვდა სახლში?** ამ სათაურით („ბედნოტა" № 789) სწერია: „ჩვენ მოვდივართ შორეულ ალტაიდან. გავიარეთ თითქმის მთელი რუსეთი, მოვედით მოსკოვში და სახლათ დავრჩით. ჩვენ არსად არ შეგვხვედრია ისეთი თავგასული სპეკულიაცია, როგორც აქ, ცენტრში. მივდივართ წინ, იმედი გვაქვს რომ, როდესაც უკან გამოვემგზავრებით, მაშინ ვნახავთ რაიმე ზომებს მაინც, რომლებიც მიღებული იქნება ცენტრის მიერ სუხარევკაზე და სხვა „პრიტონებში" მძვინვარე სპეკულიაციის წინააღმდეგ".

**ცეკვა „ისპოლკომში".** „ბედნოტა"-ში ზუბხოვი სწერს: „კოსტრომის გუბერნიის ხომინის მაზრის სოფ. დუნაევოში გავლით მომიხდა ყოფნა. მივედი „ვოლისპოლკომთან" და იქიდან მომესმა ხმაურობა. შევედი. ხალხი ცეკვავს. მე საქმე მქონდა „ისპოლკომის" თავმჯდომარესთან, მაგრამ ვერ მოვახერხე მისი ნახვა: ყველა ცეკვავს და არავის სცალია. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ინება თავმჯდომარემ ჩემთან საუბარი. რამდენათაც მე ვიცი, ცეკვა ხომინის მაზრაში აკრძალულია სახალხო სახლებშიაც კი. („ბედნოტა" № 790).

**რატომ დაგვივიწყეს?** ამ სათაურით „ბედნოტას" 26 ნოემბრის ნომერში ანდრეევი სწერს: „ჩვენ, რიაზანის გუბერნიის, კასიმოვის მაზრის, ტუმის რაიონის ფოსტა-ტელეგრაფის მუშებს ივნისიდან არ მიგვიღია სურსათი ოჯახის წევრებისათვის. ჩვენ კი ისეთი ამხანაგები მოგვეპოვება, რომელთა ოჯახები 10 სულისაგან შესდგება".

## მუშების საჩუქარი ფრონტს

ამ დღეებში ფრონტზე მყოფ ნავთლუღის რაიონის გვარდიელებისათვის ამავე რაიონის მუშათა ორგანიზაციებმა წაიღეს საჩუქრები ფრონტზე. რამაც აღფრთოვანა ამხანაგი გვარდიელები საჩუქრების დარიგების შემდეგ გაიმართა ფართო კრება, სადაც ამხ. სარჯველაძემ გააკეთა მოკლე მოხსენება მომენტის შესახებ. ილაპარაკეს აგრეთვე სალხათა კავშირის თავმჯდომარემ —ამხ. ხერხეულიძემ, ბოკერიამ, ამხ. გოგინაშვილმა, ამხ. მიქავტაძემ. დასასრულ შტაბის თავმჯდომარემ—ამხ. გვიმრაძემ გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ ზურგი არ დაივიწყებს ფრონტზე მდგომ გვარდიელებს და ამით გაახალისებს მათ.

დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია; „ფრონტზე მყოფ ნავთლუღის რაიონის გვარდიელების საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება თანამედროვე მდგომარეობის შესახებ,—აღიარებს, რომ ჩვენ, როგორც ყოველთვის, ეხლაც ერთგულად დავიცავთ სისხლით და ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხალხით არჩეული დამფუძნებელი კრება და მთავრობა გადალახავენ ყოველივე დაბრკოლებას, რომ საერთო ძალღონით გავსწიოთ უკეთეს მომავლისკენ".

**პ. ლეხელი.**

## საზიზღარი საქციელი

19 ამა თვეს, საღამოს, დაახ. საათის შვიდზე თუ რვის ნახევარზე ადგილი ჰქონდა მეტად შემაძრწუნებელ მოვლენას. სახაზინო რკ. გზის ფერშალი ქალი № პარკთან ელოდებოდა ტრამვაის. როდესაც მოვიდა ვაგონი № 20 ქალი შევიდა ტრამვაიში, აქვე შეუხტა იმავე რკ. გზის ყოფილი ფერშალი ალექსანდრე ლუნიევი. როდესაც ტრამვაიმ გაიარა დიდუბის ქუჩა და გაჩერდა ყოფილ „ლორძინების" მაღაზიასთან. ქალი გადმოხტა ვაგონიდან და გაეშურა ნაძალადევის ხიდისაკენ, ამავე დროს ბატ. ა. ლუნიევიც გადმოხტა და გაეკიდა ქალს უკან, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შეაჩერა ის და დაუწყო ცემა. ქალი წაიქცა მიწაზე და მორთო ყვირილი. ბატ. ლუნიევი კი გაიქცა.

აქვე შემთხვევით მოდიოდა პოდპორუჩიკი გალაქტიონ გიორგაძე, მეხუთე ათასეულის გუნდის უფროსი. მან აიყვანა ქალი ცხვირპირ დასისხლიანებული და წაიყვანა რკ. გზის საავადმყოფოში, სადაც მორიგმა ფერშალმა ბ-ნმა მეგრელიშვილმა მობანა სისხლი. საქმე ყოფილა შემდეგში: ბ-ნი ლუნიევი ყოფილა რკინ. გზის საავადმყოფოში ფერშალით, მაგრამ ის დაითხოვეს, როგორც უხეირო ადამიანი. ეს ისტორია კარგათ იცის სექციამ და კავშირმა. მაშინ ის დამუქრებია ზოგიერთ პირებს, რომლებმაც მისი ულაზათო საქციელი გამოააშკარავეს კავშირში. ამ შეურაცხყოფის მიზეზით მოახდინა მან თავდასხმა ზემო აღნიშნულ პირზე. ამის შესახებ არის შეტანილი განცხადება მე-12 კომისარიატში. საჭიროა მიეცეს ამას სათანადო ყურადღება ვინაიდან ჯერ არის.

**ციმბირელი.**

ვთხოვთ „ბორბალს" გადაბეჭდოს.

## ბრძოლა ბოროტ-მოქმედებასთან

მუშათა მაგიდა აცხადებს მორიგ სიას იმ პირთა, რომელიც მომარაგების ფონდიდან ორ ადგილას სარგებლობდენ სურსათით. ამ სიაში შედიან: 1) ვაჩნაძე დავით—ითვლება ოფიცერთა ეკონ. საზოგადოებასა და საყარაულო ბათალიონში. 2) ლიტვინოვა დორა—მთავარ საფოსტო კანტორაში და მე-35 საფოსტო განყოფილებაში. 3) თავართქილაძე თამარა—ქალ. თვითმართველობაში და სახელ. ბანკში. 4) ვაჩნაძე ელისაბედი—სახელმ. შემნახველ კასაში და ამხ. „ივერიაში". 5) ლატიში ფრანცი—დეპეშათა კანტორისა და ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოში. 6 ივანოვა ნატალია—მეთერთმეტე სასურსათო დუქანსა და ქალ. თვითმართ. ძირითადსა და დამატებით სიაში. 7) ლომიძე ივანე—სამხედრო სკოლის ძირითად და დამატებით სიაში. 8) პოპოვა ევგენია-პასჩენკოსა და ტილსმიროვის ქალთა გიმნაზიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ მედიკო-სანიტარულ განყოფილებაში. 9) დავიდოვი დიმიტრი ევროპა კავკ. ბანკსა და ერობაში. 10) დოვლათბეგოვა ნინო—სამხედრო ჰოსპიტალსა და სახალხო გვარ. სამკერვალო სახელოსნოში; 11) დიაშენკო ოლგა—პირველ საფოსტო განყოფილებასა და ხოშტარიის ქარხანაში; 12) ლაზუტკინი სტეფანე—სააქციონერო სატრანსპორტო საზოგადოებასა და დეპეშათა კანტორაში; 13) კანდელაკი მარიამ—სამოსამართლო პალატასა და სახელმწიფო ბანკში; 14) ანდრიაშვილი ცინე—წყალთა სამმართველოს ძირითადსა და დამატებით სიაში; 15) ინანიშვილი მარია—დეპეშათა კანტორასა და ბარუშევის კოლოფების სახელოსნოში; 16) კალაშნიკოვა თამარა—რკ. გზ. საფოსტო განყოფილებასა და არსენალში; 17) არტამახოვა მარია—იუსტიციის სამინისტროს საყარაულო ბათალიონსა და როშასა და დიუბნერის ნაბდის დასამზადებელ ფაბრიკაში.

აღნიშნულ პირთ წაერთმევათ უფლება და პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. (სდა)

## გზათა დეპარტამენტში

დეკემბრის 12 და 15 გზათა დეპარტამენტის დარბაზში შესდგა საგანგებო თათბირი, ზოგიერთ სარკინიგზო საკითხების განსახილველად, შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრის თავმჯდომარეობით და გზათა დეპარტამენტის დირექტორის ინჟ. პ. ქიქინაძის მონაწილეობით. თათბირს გარდა გზათა დეპარტამენტის უმაღლეს აგენტებისა დაესწრნენ წარმომადგენელნი ქალაქთა და ერობათა კავშირისა, ბანკებისა, ვაჭრობა-მრეწველობის პალატისა, შავი ქვის მრეწველთა საბჭოსი და საზოგადოება „ჩელო"-სი, აგრეთვე სახელმწიფო კონტროლისა და ფინანსთა სამინისტროსი. თათბირმა დეკემბრის 12 მოისმინა მო-

---

კონსტიტუციაზე დაყრდნობა ნიშნავს ხალხზე დაყრდნობას. ეს არის უდიდესი გარანტია იმისა, რომ ვერც ერთი ორგანო ვერ შესძლებს ხალხის სურვილის წინააღმდეგ გადაშენებას. ადგილობრივი კომუნალური წყობილება არის უდიდესი კონსტიტუციური გარანტია, რომ არ მოხდეს ის, რისაც გვაშინებს შენგელაია. გვაშინებდა ამბობდა, რომ კონსტიტუციაში არ არის მაგ., პრესის ცენზურა და შესაძლებელია თქვენ კი შემოიღოთო, კონსტიტუციაში არის პირობების ხელშეუხებლობა, და თქვენ კი შეგიძლიათ ის გააუქმოთო. მაგრამ ვერ გააუქმებთ, ვერ შემოიღებთ ცენზურას, ადგილობრივი ორგანოები, არჩეულნი ხალხის მიერ ამის უფლებას არ მისცემს არავის, ისინი არ დაუშვებენ კონსტიტუციის ძირითადი უფლების გაუქმებას, რადგან ეს მათი უფლების გაუქმება იქნება. კონსტიტუციის კანონის სწორი ასრულება კი შეხვდება მათ სრული დახმარებით, ამიტომ სწორი ასრულება მისი ნიშნავს იმას, რომ იგი სწორედ არის გაგებული მთავრობის მიერ, და ადგენილია ის გზა, რომლითაც ის უნდა ხორციელდებოდეს.

მე ამით დავათავებდი საზოგადო მსჯელობას კონსტიტუციის პოლიტიკურ მხარის შესახებ, რომ მასთან ერთად არ დავუკავშირებიათ სხვა საკითხები, როგორიც არის, მაგალითად საკითხი ბიუჯეტის შესახებ. ლ. შენგელაიამ მოითხოვა ჩვენგან შეგვეტანა კონსტიტუციაში საბიუჯეტო საკითხები, გადასახადთა სისტემის გარდა და სხვა. მე ვამბობ, რომ კონსტიტუციაში რომ პრაქტიკოსობა დაგვეწყო, ეს იქნებოდა არა საკითხის გადაწყვეტა, არამედ მისი არევ-დარევა. ჩვენ რომ ახლავე გადაგვეწყვიტა ყველა საბიუჯეტო პრობლემა, გადასახადთა სისტემა,—ეს არ იქნებოდა სწორი მიზანშეწონილი ნაბიჯი, ვინაიდან ძირითადად კითხვის გადაწყვეტა ნიშნავს მასზე აგებულ საკითხების გადაწყვეტასაც. არსებულ ქაოტიურ მდგომარეობისა და არევ-დარევის დროს კი ეს იქნებოდა უდიდესი დანაშაული ჩვენი ხალხის წინაშე. ჩვენ რომ არ მიგვეცა საშუალება, რომ თვით ხალხს, თანახმად არსებულ პირობებისა, გამოენახოს მთავარი გზა ეკონომიურ ცხოვრებისა, მისი მიმართულება, და ამაზე არ აეშენოს საბიუჯეტო სისტემა, რომ არ მიგვეცა მომავალ კანონმდებლობისათვის თავისუფალი მოქმედების საშუალება ამ სფეროში,—მაშინ ჩვენ შევიქნებოდით ის ბორკილი, რომელიც შეხუთავდა ჩვენი ერის განვითარებას. ადვილად შესაძლებელია, საჭირო იყოს, რომ რესპუბლიკაში გადასახადთა სისტემა სრულიად მოისპოს და სახელმწიფომ ნაცვლად გადასახადისა თავის წარმოებებიდან მიიღოს იმდენი, რამდენიც მის აუცილებელ საჭიროებას დააკმაყოფილებს.

მაგრამ დღეს, რომ ეს დავაკანონოთ, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ხვალ ის განხორციელდება და დააკმაყოფილებს სახელმწიფოს? შესაძლებელია, ჯერ დავაკანონოთ და შემდეგ შევუდგეთ მის ასრულების საშვალებათა ძებნას? ეს ძლიერ ცუდი სამსახური იქნებოდა ხალხის და რესპუბლიკის წინაშე. ეს ჰგავს იმას, რაზედაც იურისტები ამბობენ: ოღონდ კანონი იქნეს დაცული, და ქვეყანა კი თუ უნდა დაიღუპოს. ეს ჩვენი უკიდურესი დემოკრატებიც ასე ამბობენ, ოღონდ დემოკრატიული პრინციპი იყოს ბოლომდე დაცული, და უნდა მთელი ქვეყანა შეეწიროს მას მსხვერპლად. მე ვამბობ: თქვენ შეგიძლიათ მსხვერპლად შესწიროთ, ვისაც გნებავთ, მაგრამ თქვენ არა გაქვთ უფლება მოსთხოვოთ ერს მსხვერპლად შეწირვა ვისმეზე. ის არავის არ ეწირება მსხვერპლად. ის თვით მოითხოვს მსხვერპლს. ეს არის მთავარი დებულება ერის სიცოცხლისა. თქვენ კი გინდათ, რომ ერი შეეწიროს მსხვერპლად თქვენს პრინციპებს.

აი, ამიტომ ვამბობ იმ დებულებათა შესახებ, რომლებიც ასე უხვად არის გაფანტული სოც.-რევ. კონსტიტუციის პროექტში: ისინი სრულიად არ შეეფერებიან ცხოვრების დღევანდელ ვითარებას და სრულ უტოპიის წარმოადგენენ

გადავიდეთ ახლა მეორე და კონსტიტუციის მთავარ თვისებაზე, მის სოციალისტურ მხარეზე. აქაც ჩვენ კონსტიტუციას განაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი მოქალაქეობრივი, სოციალური უფლებები განსაკუთრებულია და ისახავს იმ მიზანს, რის შესახებაც მე თავში მოგახსენეთ—სოციალიზმის მოახლოვებას (ი. გობეჩია: კაპიტალიზმის განვითარებას). ბ-ნი შენგელაია შეეცადა ამ დებულების დარღვევას, მაგრამ ამაოთ. მართალია, სანამ თავის დასკვნას გააკეთებდა, მან ბევრი ციტატები მოიყვანა, ბევრი ამონაწერები წაიკითხა უთავბოლოდ ნ. ჟორდანიას ნაწერებიდან. მაგრამ ამით მან დაამტკიცა მხოლოდ ერთი რამ:—ის, რომ შენგელაიას შეუძლია კიდეც გაიგოს თითო ფრაზა, მაგრამ ფრაზებისაგან შემდგარ დებულების და სისტემის გაგება მის ძალ-ღონეს აღემატება, მათი გაგება არ შეუძლია. მან ვერ გაიგო, რომ ძირითადი პრინციპი დემოკრატიულ წყობილებისა 1905 და 1920 წლისათვის ერთია, მაგრამ საერთო პირობების ცვალებადობის გამო იცვლება ამ პრინციპების შეგუება ცხოვრებასთან, მან ვერ გაიგო, რომ ის, რაც კარგი და მისაღები იყო 1905 წ. მიუღებელი და მოძველებულია დღეს. 1920 წელში ჩვენთვის, როცა ახალ პირობებს უნდა ახალი ტაქტიკა და ახალი პოლიტიკური გზა. როცა ის ორ ამონაწერს ამოიკითხავს და ხედავს მათ შორის განსხვავებას,—სიხარულით ამბობს: დაინახა პრინციპები, დაიშალა მთელი სისტემაო. ეს არის ისეთი გაუგებრობა, როდესაც ადამიანი აზრთა კრებულში ვერ ამჩნევს დედა აზრს და რომელსაც ცალკე აზრები დაწყობილი აქვს თავში, როგორც ქართოფილი. ეს არის ლ. შენგელაიას თავში. ეს არის აზრის უსისტემობა. რასაკვირველია, თუ შენგელაია თავის აზროვნებაში ვერ ერკვევა,—მით უმეტეს მას არ შეუძლია გაერკვეს სხვის სისტემაში; აქ იგი ვერაფერს ვერ გაიგებს. და სწორედ სოციალურ უფლების სფეროში მოსდით ეს განსაკუთრებით ჩვენ სოც.-რევოლიუციონერებს. ჩვენ მკაფიოდ დავსახეთ ერთი პრინციპი: სახელმწიფო უნდა ცდილობდეს მიმართოს ცხოვრების გზა იმ რეალურ ძალების მიხედვით, რომელსაც აქვს ადგილი დღეს, და იმ ეკონომიურ ელემენტების მიხედვით, რომელიც ჩასახულია ჩვენს ცხოვრებაში. აქ არის მუშა, წვრილი მეურნე-გლეხი და სოციალური უფლების დებულება გამომდინარეობს ამ ორ მთავარ ელემენტების უზრუნველყოფიდან. მუშა და გლეხი უნდა იყვეს უზრუნველყოფილი. სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი საგანი უნდა იყვეს—მათი განვითარება და იმ გზის მიმართვა, რომელიც ყველაზე იოლად გადაგვიყვანს სოციალისტურ წყობილებაში, და ეს არა კერძო საკუთრების დაცვით, არამედ მისი შეზღუდვით, პრიორიტეტს საზოგადოებრივ მეურნეობისათვის მიცემით. და ყოველი ეს გამომდინარეობს არა იმ ოცნებიდან, რომლითაც არიან გატაცებულნი ესერები, არამედ გამომდინარეობს ჩვენი პროლეტარიატის და გლეხების მდგომარეობიდან. აქედან იწყება ჩვენი გამოსავალი წერტილი. თუ გნებავთ ის გამომდინარეობა ჩვენი ბურჟუაზიის სისუსტიდანაც ამბობს: ამ სუსტი კერძო სისტემის ნაცვლად უნდა შეიქნას ძლიერი კოლექტიური მეურნეობა. იმ ძალებიდან გამოდის ჩვენი კონსტიტუცია და ამას ძალა მომავალ წყობილებასთან. ახლა საიდან გამოდის ჩვენი „უძლიერესი და უდიდესი" ესერების კონსტიტუცია? ესენი ამბობენ უნდა შევიღოთ შრომის უფლება და საყოველთაო შრომის ბეგარაო. ეს არის სრული უტოპია. და ეს არის მათი მთავარი სოციალური ეკონომიური უფლება. რაც შეეხება დანარჩენს: მუშათა კონტროლს და სხვას, ის, როგორც მოგახსენეთ, არის ამოღებული საბჭოთა რუსეთის ზოგიერთ ლოზუნგებიდან, და ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც რუსეთში (ხმები: გერმანიაში?) გერმანიაში მკაფიოდ არის ნათქვამი, თუ რა რისთვის არსებობს, მხოლოდ თქვენ კონსტიტუციაში ისევე ლოზუნგათ არის ეს ჩაწერილი, როგორც რუსეთის დეკრეტომანიაში.

აი აქ, თქვენს კონსტიტუციის პროექტში სწერია: „მუშათა საბჭოს არსებობა რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია". რისთვის, რა მიზნით? ამის შესახებ არაფერია ნათქვამი (ხმები: ეს არის პრინციპი), აი, ეს არის პრინციპი უპრინციპობისა, ვინაიდან მას არავითარი კონკრეტიული სახე არ აქვს. იგი მხოლოდ მშრალი ლოზუნგია. არაფერი ამის მსგავსი არ არის შეტანილი არც გერმანიის და არც სხვა სახელმწიფოს კონსტიტუციაში.

მეორე საფუძველი ესერების ეკონომიურ პოლიტიკისა არის მიწის სოციალიზაცია. აი, წავიკითხავ: ყველა მოქალაქე უნდა ჰქონდეს თანასწორი უფლება მიწაზე, ტყეზე, მდინარეზე და ს. ეს მის შემდეგ, რაც ყველაფერი ეს ამავე პროექტით სახელმწიფოს საკუთრებად არის გამოცხადებული. ეს არის ცნობილი უტოპია რუსეთის „ობშჩინისა", რომლის ასვლა-დასვლა ეძიეს რუსეთის ესერებმა რამდენიმე ათეულ წლების განმავლობაში და ვერ იპოვნეს და ახლა ჩვენს სწორუპოვარ ესერებს უნდათ რამდენიმე მუხლში ჩამოყალიბონ. არის ჩვენში რაიმე ამგვარი? არის ჩვენში ისეთი ელემენტი, რომლიდანაც გამომდინარეობს რუსეთის „ობშჩინა"?—არ არის! მაშ, საიდან მომდინარეობს ესერების სოციალიზაცია? ეს გამომდინარეობს რუსეთის უტოპიიდან, რომელიც რუსეთის თემურ წყობილებაზე არის აღმოცენებული. ქართველ ესერებს კი ქართულ ნიადაგზე აქვთ ეს უტოპია გადმონერგული. რა შედეგი უნდა მოყვეს ამას? რა მცენარე, რა ყვავილი უნდა გაიურჩქნოს საქართველოს სამიწოთ მცირე ნიადაგზე?—არავითარი. შრომის უფლება და საყოველთაო შრომის ბეგარა და მიწის სოციალიზაცია არის საბჭოთა რუსეთის ორიოდე დეკრეტის შინაარსი და ისეთსავე ნაყოფს მოიტანს, როგორიც მოიტანა იქ, რუსეთში: არც მეტს, არც ნაკლებს.

ჩვენ გარკვევით ვამბობთ: ჩვენ გვაქვს პატარა წარმოება, არ გვაქვს დიდი მეურნეობა. გვყავს პოლიტიკურად შეგნებული მუშები და გლეხები და ამ ძალებს ვეყრდნობით. უზრუნველყოფა მუშისა და გლეხისა არის აუცილებელი, რომ ამ გზით შეიქნეს წყარო წარმოებისა, განვავითაროთ იგი, შევქნათ საზოგადოებრივი წარმოება სახელმწიფოსა და თვითმართველობის საშუალებით. ამ გზით გვინდა მოვამზადოთ ნიადაგი მომავალ სოციალისტურ წყობილებისათვის. აქ სოც. რევოლიუციონერები დაიწყებენ დავას: დაამტკიცეთ,—კაპიტალისტურ წყობილებაში ვართ, თუ სოციალისტურშიო. ასე დააყენა კითხვა ლ. შენგელაიამ და ამაზე ილაპარაკა მან მთელი საათი. ჩვენ ვამბობთ, რომ დღევანდელი წყობილება არის მოსამზადებელი სოციალიზმისათვის. რომელ მომენტში, რომელ წუთში შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე დაბადებულია სოციალიზმი და უკვე საბოლოოთ დამარხულია კაპიტალიზმი,—ამის გამოცხადება დღეს არც ერთ აკუშერს არ შეუძლია. დღეს არის დაბადების პროცესი. არა თუ ჩვენ, არამედ მთელი ევროპის კულტურა ამ მომზადების, ამ გარდაქმნის პროცესში იმყოფება. ჩვენ რომ თავის ამარა ვიყოთ მხოლოდ, მაშინ ვიტყოდით, რომ სოციალიზმზე დაშორებული ვართო. მაგრამ რომელ მომენტში დამყარდება წმინდა სოციალისტური წყობილება, ამის გადაწყვეტა არავის შეუძლია. არავის ძალუძს საზღვრის გავლება. ეს აღემატება ადამიანის გონებას. ვინაიდან ეს გარდაქმნა მეტად რთული პროცესია. (შენგელაია: არ გახსოვთ, ენგელსი რომ სწერდა: ПРИЖОКЪ ИСТОРІИ?), ბ. შენგელაია, თქვენი შეცდომა და უბედურება იმაშია, რომ ისტორიულ ნახტომს ადარებთ თქვენს საკუთარ ნახტომს, ნუ გაგიკვირდებათ, ბატონებო, რომ ისტორიულ ნახტომს რამდენიმე ათეული წლები სჭირდება. თქვენი ნახტომი არის უბრალო ხტუნაობა. მხოლოდ ისტორიული ნახტომი არის ხშირად 100 წლის პროცესიც კი. თუნდაც აიღეთ საფრანგეთის რევოლიუცია. ის არ გახლავთ იოლი ნახტომი, ერთი ფეხის ნაბიჯის ოდენი, როგორც ეს თქვენ წარმოგიდგენიათ. და ამის უფლება კი თქვენ არა გაქვთ. მიტომ არის, რომ თქვენი თეორია არ შეეფერება არც ცხოვრებას და არც მეცნიერებას. მე ვამბობ, რომ როდესაც ჩვენ გვაქვს ასეთი გარდამავალი წყობილება, აქ ეს უნდა ვთქვათ აშკარათ. მისთვის გარკვეული სახელის მიცემა არ შეიძლება ისე, როგორც დღემდე არ არის დამტკიცებული, თუ რომელი თვიდან ითვლება ბავშვი ცოცხალ არსებად, როდესაც ის ჯერ კიდევ დედის მუცელშია. და ამის დამტკიცება, არც შესაძლებელია. მხოლოდ მას შემდეგ კი, როდესაც ბავშვი დაიბადება, როდესაც ის თავის დედის სხეულს გაშორდება, როცა ცალკე ორგანიზმად დაიწყებს არსებობას,— მაშინ ყველა აშკარად იტყვის, რომ ის

ხსენება სახაზინო რკინის გზების ექსპლოატაციის უფროსისა მატარებელთა მოძრაობის განრიგებისა და ტვირთის გადაზიდვის შესახებ, რაც შეთანხმებულ იქმნა უკანასკნელ დროს შექმნილ მდგომარეობის მოთხოვნილებებთან. (მატარებლების მოძრაობის განრიგება, შემუშავებული თანახმად თათბირის დადგენილებისა, ძალაში შედის 20 ამა დეკემბრიდან.) ამავე თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენება გზათა დეპარტამენტის დირექტორისა სარკინიგზო სატარიფო კომიტეტის დაარსების შესახებ. თათბირმა ერთხმად აღიარა სატარიფო კომიტეტის დაარსების აუცილებლობა, რომელიც სარკინიგზო ტარიფების საკითხს დაამუშავებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნულ დადგენილების გამო გზათა დეპარტამენტი უკვე შევიდა სათანადო მოხსენებით მთავრობაში. დეკემბრის 15 თათბირზე განხილულ იქნა სახაზინო რკინის გზების საკომერციო ნაწილის უფროსის მაჭავარიანის და კახეთის რკინის გზის მმართველის ინჟ. გვერდწითელის მოხსენებები არსებულ სარკინიგზო ტარიფების გადასინჯვის შესახებ. თათბირმა მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ სატარიფო კომიტეტის ორგანიზაცია შედარებით დიდ დროს დაიჭერს, გზათა დეპარტამენტის დირექტორის ინჟენერ ბ. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა გადასინჯვა და დეტალური დამუშავება სარკინიგზო ტარიფთან დაკავშირებულ საკითხებისა. კომისიაში გარდა სახაზინო და კახეთის რკინის გზების სათანადო აგენტებისა, შევიდნენ დამფუძნებელი კრების საგზაო კომისიის წევრი პ. წულაია, საზოგადოება „ჩემო“ ს თავმჯდომარე გ. ჟურული, ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტის წევრი ის. ხოჭოლავა, ცენტრობანკის თავმჯდომარე პ. გოთუა და ფინანსთა სამინისტროს ვიცე დირექტორი ბ. კოვალენსკი. (სდს)

## პასუხად ექიმ ღულაძეს

„ერთობა“ ს № 283 ში ბ-ნი ღულაძე თავს იმართლებს იმ ბრალდებებიდან, რაც წამოყენებული იყო მის წინააღმდეგ მე-7 კოლექტივის პრეზიდიუმის მიერ. ნუ თუ ბ-ნი ღულაძე ფიქრობს, რომ ორგანიზაცია უსაბუთოდ გამოვიდოდა? ექიმებს მისთვის 24 ბრალდება წამოუყენებიათ, ჩვენ კი სულ ცოტა აღვნიშნეთ:

1) ბ-ნი ღულაძე ამბობს, რომ მას თითქოს არ დაუნიშნავს საპასუხისმგებლო ადგილზე ისეთი პირები, რომლებიც მავნეთ იყვნენ მიჩნეული. მოგახსენებთ: როდესაც თქვენ გადაყენებული, თუ შევიწროებაში ბრძანდებოდით,—ექიმთა თათბირმა დაითხოვა 35 კაცი. მათ შორის ყველა ის პირები, რომლებიც მავნეთ იქნენ აღიარებული. ამის შესახებ შეგიძლიათ ნახოთ ბრძანება 17 ნოემბრიდან, № 320 § 11; აგრეთვე ადგილობრივ მოსამს. კავშირის დადგენილება არასამედო პირების შესახებ. (წარმოდგენილია ც. კ. პრ-ში). როდესაც თქვენ დაბრუნდით, მიუხედავათ იმისა, რომ საავადმყოფოში ავადმყოფი მხოლოდ ორი თუ სამი იყო (რადგან საავადმყოფო ქალაქის ხელში გადადიოდა),—თქვენ უკანვე მიიღეთ დათხოვნილი მოსამსახურენი და მავნე პირებათ მიჩნეულნი. დიახაც რომ საპასუხისმგებლო ადგილები მიეცით (კანცელარია, სასურსათო საწყობი, გუნდის საწყობი, განყ ფულების ზედამხედველობა). ერთ მათგანს დაბრუნებისთანავე (ბ-ნ თაგვაძეს) საბარგო საწყობიდან რამოდენიმე ათი ათასი მანეთის ღირებულება „დაეკარგა“. თქვენ კი ამაზედ კრინტიც არ დაგიძრავთ.

2) კოლექტივი დარწმუნებულია, რომ თქვენის მეოხებით დაინგრა ს.-დ. იაჩეიკა—რა თქმა უნდა, არა პირდაპირი საშუალებით ჩვენ ამის შესახებ, თუ მოგვთხოვენ, წარვადგენთ უმაღლეს ორგანოში, რაც საჭიროა.

3) თქვენ არ გასვენებდათ კავშირის არსებობა, და ებრძოდით მასაც. თქვენ სიტყვიერი ბრძანება მიეცით ჩვენ მიერ გამოგზავნილ კაცს—კრება არ გაემართა და კარებში არ შემოსულიყო. ამის მოწმეა მაშინდელი სეკრეტარიატის ინსტრუქტორი ამხ. ლაბაური.

4) როცა თქვენ მობრძანდით,—მაშინ კლუბი გახსნილი იყო. თქვენ დაიბარეთ კლუბის თავმჯდომარე და გითქვამთ: „Никакихъ клубовъ не признаю, немедленно прикрыть“! ხოლო როცა ბ-ნი ართმელაძე მოვიდა და ლექცია წაიკითხა,—თქვენ დაფრთხით. თქვენ მოგითხოვიათ დღიური წესრიგი გამგეობისთვის. ერთ ერთ დღიურ წესრიგში ჩამოთვლილი ყოფილა თავიდან ბოლომდე კულტურული საქმეები. ამ ქაღალდზე აწერია „კატეგორიულად ეკრძალება“! ეს ქაღალდი გადაეცა სეკრეტარიატს. ისხ-ბი აღშფოთებულიყვნენ, რის შემდეგ თქვენ რომ საქმე გამოგეწორებიათ,—ათი ათასი მანეთი გამოგიწერიათ ჰოსპიტლის თანხიდან, რომლის მცირედი ნაწილი მხოლოდ მოხმარდა კულტურულ საქმეს.

5) რაც შეეხება ნდობის და ბოიკოტის საქმეს,—ვიმეორებთ, რომ ეს ორივე მოხდა. პირველი „ერთობის“ ნომერშიაც იყო გამოცხადებული. ხოლო თუ თქვენ შემდეგ ფიქრობთ კიდევ დასვათ ეს კითხვა ექიმთა პროფ. კავშირში, რომლის წევრიც თქვენ არ ყოფილხართ, ეს საქმეს არ შესცვლის: ჩვენთვის ფაქტი ფაქტათ რჩება.

6) თქვენ აგრეთვე დათხოვნილ მოსამსახურეებზე გამოგიწერიათ ნოემბრის და დეკემბრის ჯამაგირები წინააღმდეგ ექიმთა კომისიის დადგენილებისა. ეს, ალბათ, თქვენი—„ერთგულება“ არის რესპუბლიკისადმი.

ამე მათ ჩვენ ამით ვათავებთ.

საქ. სოც. დემ. მ. პ. მე 7 რაიონული კომიტ. პრეზიდიუმი.

## შრომის ბირჟა

გასულ ნოემბრის თვეში შრომის ბირჟაში ახლად ჩაწერილთა რიცხვი უდრის 1107 უმუშევარს (მამაკაცი 590 და დედაკაცი 517), რომელიც გამოცხადებულან 9439-ჯერ. რაც საშუალოთ დღეში შეადგენს 363 კაცს. ზემოხსენებულ თვეში რაოდენობა ახლად ჩაწერილებისა უფრო მეტია 330 კაცით, ვიდრე ოქტომბერში იყო.

კატეგორიების მიხედვით ჩაწერილნი შემდეგ ნაირად გაიყოფება: ლითონზე მომუშავენი—85 კაცი, ალმაშინებელი მუშები 19 კაცი. ხის მოხელი მუშ. 6 კაცი, მზარეულნი 54 კაცი, მეტყავეები 22 კაცი. (მამაკაცი 21 და დედაკაცი 1), ქაღალდის წარმოების მუშა 9 კაცი, (მ. 3 და დ. 6), ქიმიური წარმოების 1 კ., მეთამბაქოები 41 კ. (მ. 11 და ქალი 30), მოვაჭრენი 95 კაცი, (მ. 75 და ქალი 20) ტრანსპორტის 18 კაცი, პირად სამსახურის 126 კაცი, (მამაკაცი 67 და ქალი 59), კანტორებისა და კანცელიარიის მოსამსახურენი 168 კაცი, (მამაკაცი 82 და ქალი 86), თავისუფალ პროფესიის 35 კაცი, (მამაკაცი 12 და ქალი 23), ჰიგიენის 29 კაცი, (მამაკაცი 5 და ქალი 24), ფაბრიკის მომუშ. 232 კაცი, (მამაკაცი 39 და ქალი 193), შავი მუშები 35 კაცი. და ახალგაზრდანი 74 კაცი. (მამაკაცი 47 და ქალი 28).

ამავე პერიოდში მოთხოვნილება იყო 388 კაცის; გაგზავნილ იქნა სამუშაოზე 360 კაცი, რომლებიდანაც მიღებულ იქნა სამუშაოზე 351 კაცი 31,7 პროც., ნოემბრის თვეში ყველა ჩაწერილთა რიცხვი ნაკლები იყო, ვიდრე ოქტომბრის თვეში 3,5 პროც., დაკმაყოფილებულ იქნა მოთხოვნილება ნოემბრის თვეში 90,5 პროც. მეტით, ვიდრე ოქტომბრის 25,5 პროც.

სამუშაოზე მიღებულნი შემდეგ ნაირად გაიყოფება: ლითონზე მომუშავენი 60 კაცი, ან 70,6 პროც., ამ კატეგორიაში ჩაწერილთა, ალმაშ. მუშ. 11 კაცი, ან 60 პროც., ხის მოხელე მუშ. 2 კაცი, 33,3 პროც. მზარეულნი 35 კაცი 64,8 პროც., მეტყავეები 18 კაცი, 81,8 პროც., ქაღალდის წარმოებ. მუშ 11 კაცი ან 100 პროც., მეტანისამოსენი 2 კაცი ან 22,2 პროც., მეთამბაქოები 12 კაცი ან 30 პროც., მ ვაჭრენი 20 კაცი ან 21 პროც., ტრანსპორტის 11 კაცი ან 61 პროც., პირადი სამსახურის 29 კაცი ან 23 პროც., კანტორ. და კანც. მოსამ. 17 კაცი ან 10 პროც., თავისუფალ პროფესიის 3 კაცი ან 8,6 პროც., ფაბრიკის მომუშ. 87 კაცი ან 37, 5 პროც. და შავი მუშები 35 კაცი ან 100 პროც.,

ეროვნების მიხედვით ჩაწერილები შემდეგნაირათ გაიყოფება: ქართველები 422 კაცი, (მამა-კაცი 232 და ქალი 190), სომხები 308 კაცი, (მ. 183 და ქალი 120), რუსები 243 კაცი, (მამაკაცი 87 და ქალი 156) და სხვ. ეროვნების 64 კაცი, (მამაკაცი 31 და ქალი 23).

ოჯახობის მიხედვით უმუშევარნი ასეთ სურათს წარმოადგენენ: უცოლო და უქმრო 388 კაცი, (მამაკაცი 240 და ქალი 148), ცოლიანი და ქმრიანი 476 კაცი, (მამაკაცი 288 და ქალი 188) და ქვრივნი 168 კაცი, (მამაკაცი 15 და ქალი 153).

ცოლიანებ ქმრიანებსა და ქვრივებს შვილები ჰყავთ: 1—2 ბავშ. 309 კაცი, (მამაკაცი 143 და ქალი 166). 3—4 ბავშ. 111 კაცი, (მ მამაკაცი 49 და ქალი 62), 5 და მეტ ბავშ. 35 კაცი, (მამაკაცი 22 და ქალი 13), ხოლო უშვილონი არიან 189 კაცი, (მამაკაცი 89 და ქალი 100).

ჩაწერილებს ოთახები ასეთი სახით უჭირავთ. 1 ოთახი, რომელშიაც ცხოვრობს ერთი სული, 202 კ., 2 და 3 სული 451 კაცი. 4 და 5 სული 262 კაცი, 6—7 სული 72 კაცი, 8 და მეტ სული 24 კაცი. სრულიად უბინონი—21 კაცი, 30 კაცს უჭირავს სარდაფი.

## ს.-დ. პარტიაში

**სამტრედია.** 12 ნოემბერს სამტრედიის რაიონული კომიტეტის მიერ მოწვეული იყო ს.-დ. მ. პარტიის წევრთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 40 დილეგატი.

კონფერენცია გახსნა ამხ. გიორგი დონდუამ. მდივნათ არჩეულ იქნა ს. ხვიჩია. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ივანე კიკაბიძის განცხადება გაზეთ „ერთობაში“ (№246) მოთავსებულ წერილის გამო, 2) მოხსენება მომენტზე, 3) მოხსენება სამაზრო კომიტეტიდან, 4) რაიონული კომიტეტის გაუქმება, 5) ქალაქის კომიტეტის არჩევნები და 6) მომავალი პარლამენტის, ერობის და ქალაქის არჩევნები. პირველ კითხვაზე მოხსენების სახით თავმჯდომარემ წაიკითხა „ერთობაში“ მოთავსებული რკინის გზის კოლექტივის დადგენილება. წაკითხულ იქნა აგრეთვე „ერთობის“ ის ნომერი, სადაც მოთავსებულია პროფ. კავშირების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამოძიება დადგენილება, რომლის შემდეგ კონფერენციამ აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება კიკაბიძის შესახებ გაიზიარა და მისი საქმე დამთავრებულათ ჩასთვალა. რაც შეეხება რკ. გზის კოლექტივის დადგენილებას, განსაკუთრებით სიტყვებს კიკაბიძის შესახებ „თუ გინდა ალმაცერა, ჩაიდინე ბოროტ-მოქმედება“,—ეს დაუშვებლათ ცნო. კონფერენცია ამხ. კიკაბიძეს ნდობას უცხადებს, რადგან მას არავითარი ბოროტება არ ჩაუდენია. რაც გაზეთ „ერთობაში“ იყო მოთავსებული რკინის გზის კოლექტივისაგან—რადგან ამის შესახებ თვით ამ კოლექტივის თავმჯდომარემ ოქროპირ წულაიამ უარი განაცხადა—გამოძიება მიენდო სამაზრო კომიტეტის ბიუროს. დანარჩენ საკითხებზე კონფერენციამ გამოიტანა შესაფერი დადგენილებანი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კონფერენციის დადგენილება პარტიული მუშაობის შესახებ გატარდება ცხოვრებაში და პარტიული მუშაობა გაიზრდება და გაძლიერდება.

ამხანაგი.

———

**ხონაკის მაზრა.** ს. ს.-დ. მ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი უკვე შეუდგა მაზრის სათემო ორგანიზაციებში პარტიული მუშაობის გაცხოველებას: ახლებს წევრთა და თანამგრძნობთა რეგისტრაციას, ჰკრებს პარტიულ გადასახადებს და სხვა. ამ მიზნით მაზრა განაწილდა რამოდენიმე უბნებად და თვითეული უბანი ჩაბარდა პასუხისმგებელ ამხანაგებს, რომელთაც დაევალათ თავიანთ მუშაობაზე და ორგანიზაციის მდგომარეობაზე სისტემატიურად წარმოუდგინონ ანგარიშები სამაზრო კომიტეტს. უნდა აქვე აღინიშნოს, რომ ამხანაგები ს.-დ. სამაზრო კომიტეტის დავალებებს პირნათლად ასრულებენ. კომიტეტში უკვე შემოვიდა ერთი პასუხისმგებელ ამხანაგისაგან მოხსენება, საიდანაც სჩანს, რომ 7—8 სათემო ორგანიზაციებში მას უკვე მოუხდენია საერთო კრებები და შეუსრულებია კომიტეტის დავალებანი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სხვა პასუხისმგებელი ამხანაგებიც მიბაძავენ ამ მაგალითს და თავის დროზე და პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

პასუხისმგებელ ამხანაგებს და სათემო კოლექტივებს დაევალათ აგრეთვე ენერგიული მუშაობის წარმოება იმ მხრით, რათა გვარდიაში ჩაეწერონ ჩვენი პარტიული ამხანაგები. ამ მხრივაც ჩვენი პასუხისმგებელ ამხანაგებისაგან უკვე გადადგმულია სათანადო ნაბიჯი და უნდა ვიფიქროთ, რომ მათი მუშაობა უნაყოფოდ არ ჩაივლის.

კომიტეტის ინიციატივით უკვე შესდგა ფრონტის დამხმარე კომიტეტი დაწესებულებებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან.

დ. ძ.

## მუშათა შორის

მეტყავეთა პროფესიონალური კავშირის საორგანიზაციო კომისიის მოწოდება კავშირის წევრების დმი.

ძვირფასო ამხანაგებო! მეტყავეთა პროფესიონალური კავშირის დელეგატთა საბჭომ თავის უკანასკნელ მორიგ სხდომაზე აირჩია საორგანიზაციო კომისია, რომელსაც ევალება კავშირის წევრთა შორის ორგანიზაციული მუშაობის გაჩაღება—გაძლიერება. დღევანდელ პირობებში, როდესაც ყველა ჩვენგანს თავს დატრიალებს შიმშილის შავი აჩრდილი, ზოგიერთს ერთის შეხედვით ორგანიზაციული მუშაობა შეიძლება ზედმეტათ ეჩვენოს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მტკიცეთ დარაზმულ მუშებს უფრო ადვილათ შეუძლიათ გაუმკლავდნენ ეკონომიურ გაჭირვებას—მაშინ ცხადი იქნება, რომ ორგანიზაციული მუშაობა დღიურ წესრიგში უნდა იქნეს დაყენებული. და ეს მით უმეტეს, რომ სახელმწიფოს დღევანდელი ეკონომიური გაჭირვებიდან უვნებლათ გამოსვლა შეუძლია მხოლოდ მტკიცეთ დარაზმული მუშათა ორგანიზაციების მხურვალე თანამშრომლობით. ამიტომ, ძვირფასო ამხანაგებო, როგორც ჩვენი—მუშების საარსებო ინტერესები, აგრეთვე სახელმწიფოს ინტერესებიც გადაჭრით მოითხოვენ მუშათა კლასის მტკიცედ დარაზმვას. მეტყავეთა კავშირის საორგანიზაციო კომისიამ, იქონია რა ეს გარემოება მხედველობაში, გადაწყვიტა, რაც შეიძლება გააფართოვოს ორგანიზაციული მუშაობა ჩვენს კავშირში. მართალია დიდი დაბრკოლება ელობება ჩვენს მუშაობას; მაგრამ, ჩვენ, მუშებს ყოველთვის გადაგვილახავს ასეთი დაბრკოლება; ჩვენ გვინახავს ამაზე უფრო შავი დღეები და არასოდეს სული არ დაგვცემულა. მუშათა კლასს არასოდეს არ დავიწყებია საერთო საქმე და იგი არც დღეს დაივიწყებს მას. ამავე დროს თქვენ ამხანაგებო ერთ წუთსაც არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ მუშათა განთავისუფლება თვით მათი, მუშების საქმეა, რომ თქვენს გასაკეთებელ საქმეს თქვენვე უნდა მოჰკიდოთ ხელი. აქ ყოველგვარი გულცივობა თავის თავის ღალატი იქნება. ამიტომ, ამხანაგებო, ამოუდექით გვერდში თქვენს მეთაურებს, შეუწყვეთ ხელი მათ თქვენის მონაწილეობით საორგანიზაციო მუშაობაში და მით გააძლიერეთ ჩვენი რაზმი, ჩვენ ვკიდებთ საქმეს ხელს იმ იმედით, რომ ჩვენს მოწოდებას, ჩვენს ყოველგვარ თხოვნას თქვენ უყოყმანოთ შეასრულებთ.

კავშირის საორგანიზაციო კომისია.

## პროვინცია

**ზუგდიდი.** სამწუხაროდ, ზუგდიდის მაზრა დღესაც არ არის გაწმენდილი ყაჩაღთა ბრბოებისაგან. მაგრამ მაზრის ადმინისტრაციის ენერგიულმა მუშაობამ რამდენიმედ მიაღწია მიზანს. როდესაც ყაჩაღებმა — დარასელიამ, ყურაშვილმა და სხვ. გაიგეს, რომ მათ ამის შემდეგ დიდხანს არ გაძლებათ,—ისინი გადაცმული ტანისამოსით, ბოლშევიკ ესტატე ცხომარიას მფარველობით წასულან ფოთში ბოლშევიკურ რუსეთში გასაქცევათ. ფოთის მილიციას შეუპყრია ყაჩაღი ყურაშვილი, რომელსაც დაკითხვის დროს განუცხადებია, რომ მასთან ერთად მიდიოდა დარასელია და რომ ისინი იყვნენ ცხომარიას მფარველობის ქვეშ. ყურაშვილი და ცხომარია დაიტუსაღეს და დღეს ისინი ზუგდიდის სამაზრო ციხეში იმყოფებიან.

გრ. ზუგდიდელი.

———

**ცხინვალი.** 12 დეკემბერს ცხინვალის სასამართლოს დარბაზში მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა მრავალ-რიცხოვანი კრება. დამფუძნებელი კრების წევრმა ვიქტორ ელენტმა გააკეთა მოხსენება მომენტის შესახებ.

ხალხი მრავლათ დაესწრო და გულდასმით უსმენდა. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება აღუთქვამს მთავრობას ყოველგვარ დახმარებას გარეშე თუ შინაურ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კრების თავმჯდ. შ. გოგიჩაშვილი.

რედაქტორი ჟუჟუნ ნაკაძე

ტუციის არ მიუცია მუშათა კანონმდებლობისათვის, ეს არის მატერიალური გარანტია. აქ ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ სოციალისტური უფლების განმარტება თუ მივანდეთ სასამართლოს, ეს საკმარისი იქნება. მივანდეთ და გათავდა. ჩვენ კი ვამბობთ, რომ უნდა იყოს უზრუნველყოფა, გარანტია, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ის, რაც ადამიანის, მოქალაქის სოციალურ უფლებას შეადგენს, უეჭველათ განხორციელდება. და ამისათვის უნდა იყოს გადადებული ბიუჯეტის განსაკუთრებული ნაწილი. და აი ეს არის გარანტია იმისა, რომ ამ უფლების შესასრულებელი ნიადაგი უკვე მზად არის, მისი განხორციელება უკვე უზრუნველყოფილია. დიახ, ჩვენ გვაქვს ამ მხრივ უდიდესი გარანტია, ეს არის ბიუჯეტის ნაწილის აუცილებელი გადადება ყოველ წლიურად ამ საქმისათვის. სწორედ ამ საზოგადოებრივ და სოციალურ უფლების დაცვისა და განხორციელებისათვის არის ნათქვამი 137 მუხლში, ბიუჯეტის 5 პროცენტის გადების შესახებ. ამ გარემოებას თქვენ მიუმატეთ მთელი რიგი ორგანიზაციებისა, რომლებიც შესდგება მუშებისა და მწარმოებლებისაგან, როგორც, მაგალითად, შრომის ბირჟა და მთელი რიგი სხვა დაწესებულებისა, რომლებიც განაგებენ ამ უფლების რეალიზაციას და 8 საათის სამუშაო დღის დაკანონება კონსტიტუციით, აუცილებელი დაზღვევა შრომის და სხვა, ცარიელ სიტყვებათ ეს მოგეჩვენებათ. პირიქით ჩვენ მივიღებთ იმას, რომ აქ ამ ნაწილში ჩვენი კონსტიტუციისა სავსებით არის გამოხატული, როგორც ძირითადი ტენდენციები ჩვენი რესპუბლიკისა, ისე ძლიერება მის მთავარ მამოძრავებელ ძალისა—მუშათა კლასისა. ბ-5 გვაზავას ეს გარემოება არ მოსწონს. მას არ მოსწონს, რომ ერთმა კლასმა თავისი დაღი დაასვას ერის ნებისყოფას და მის გამოხატულებას. მე კი ვამბობ, რომ ეს არის აუცილებელი. მთლიანი ერი, განყენებული არ არსებობს; იგი კლასთა კრებულია, იგი კლასთა ბრძოლაში და დუღილში იხატება. სხვა გვარი ფორმა სოციალური გამოხატულებისა მას არა აქვს. და ამ ბრძოლაში ერთს რომელიმე კლასს ეკუთვნის უპირატესობა,—სხვანაირად არ შეიძლება წარმოიდგინო სახელმწიფო. როდესაც ამ უპირატესი კლასის მუშაობა და მოქმედება შეეფერება ერის ინტერესებს,—მაშინ ეს კლასი არის ეროვნული კლასი,—მაშინ ის არის გამომხატველი მთელი ერის ნების ყოფისა. დღეს ასეთი არის დემოკრატია და მისი ავანგარდი—მუშათა კლასი. და ამიტომ მუშათა კლასი არის უაღრესად ეროვნული კლასი, და კონსტიტუციაც მის პრინციპებზეა აგებული, კონსტიტუცია მისი შექმნილი არის უაღრესად ეროვნული სწორედ იმიტომ, რომ ის ამ კლასის არსებობის მთავარ ინტერესებს იცავს და ამით მთელი ერის ძირითად აზრს გამოხატავს. აი, ეს გახლავთ უმთავრესი და არა ის, რომ ჩვენ არც ერთ კლასს არ დავეყრდნოთ, არამედ დავეყრდნოთ რომელიმე ლამაზად დახატულს იდეას. ამას გვეუბნება მარქსისტული თვალსაზრისი და მეცნიერულ სოციალიზმის თვალსაზრისი. ეს არის უდიდესი და უპირველესი გზა სოციალისტურ წყობილებისაკენ მიმავალი. ამიტომ, ვათავებ რა ჩემს სიტყვას, მე არ შევუდგები სოციალ.-რევოლ. დებულებების განხილვას არსებითად,—ალბათ, თაობრივ განხილვის დროს გვექნება საშუალება კონკრეტულად დაუპირდაპიროთ ჩვენი კონსტიტუციის პროექტს მათი კონსტიტუციის პროექტი და მაშინ დავინახავთ კონკრეტულად ერთის ღირსებასაც და მეორეს ღირსებასაც. ეხლა კი ვიტყვი, რომ ჩვენი კონსტიტუცია არის ერთი უდიდესი ცდა, ისტორიული ცდა იურიდიულ ფორმაში იმ გზის ჩამოყალიბებისა, რომლისთვისაც სოციალ დემოკრატია იბრძოდა მთელს ევროპაში, იბრძვის დღესაც და რომლითაც იგი ფიქრობს მიაღწიოს მომავალ სოციალისტურ წესწყობილებას და კიდეც რომ შეცდომები იყოს ამ პირველ ცდაში,—ეს პირველი და დიდი გაკვეთილი სასიტორიოდ მაინც დარჩება და ეს კონსტიტუცია ასეთ სამაგალითო სახელით შევა საკაცობრიო ისტორიაში. (ტაში).

ცოცხალი არსება არის. ე, ი. მაშინ, როდესაც პროცესი წარმოშობისა დამთავრებული არის,—საქმის გაგებაც ადვილია. ადვილი არის გაგება, თუ როგორი არის წესწყობილება. აქ კი, სანამ ეს გამოირკვეოდეს,—ორი მხრიდან მოისურვეს გარკვეული დაღის დასმა,—მემარჯვენეებმა, რომლებიც ეხლა გალაღდებიან სადღაიდან, მოისურვეს ბურჟუაზიული და კერძო საკუთრების დ ლის დამჩნევა ჩვენს კონსტიტუციაზე; მემარცხენეებმა კი სთქვეს, რომ დავაწეროთ მას სოციალიზმი და ეს არის საკმარისი,—მივაწეროთ იარლიკს და მაშასადამე, საქმეც გაკეთებული იქნებაო. მაგრამ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მარტო სახელწოდების დარქმევით არაფერი არ გაკეთდება. თქვენ შეგიძლიათ ბავშვს დაარქვათ ივანე ან პეტრე, მაგრამ ამით იმის ხასიათს ვერ გაიგებთ. და თუ თქვენ საზოგადოებრივ წყობილებას დაარქმევთ სოციალისტურს ან ბურჟუაზიულს,—ამით თქვენ განსაზღვრავთ თქვენს შეხედულებას და არა საზოგადოების ხასიათს. და თუ თქვენი შეხედულება არ შეეფერება რეალობას,—ის იქნება უარყოფილი ცხოვრებისაგან. და ჩვენ სწორედ ამას ვერიდებით. ამიტომ ჩვენ დღეს ასეთ დიაგნოზს ვსვამთ, ეს არის ხანა სოციალისტური წყობილებისათვის მზადებისა. ამისათვის სახელმწიფომ მეცნიერული სოციალიზმის მიხედვით უნდა შეეცადოს ყველა იმ ძალების დაცვას, რომლებიც სოციალიზმის ნამდვილი მემკვიდრენი არიან და რომლებიც უნდა გახდნენ მესაფლავეებათ ძველი წყობილებისა. აი აქეთ მუშაობენ მთავარი ძალები, რომლებიც მომავალში სოციალიზმს ქმნიან. ეს არის მთავარი მიზანი, მთავარი აზრი იმ თავებისა, რომელსაც სოციალური უფლება ეწოდება ჩვენს კონსტიტუციაში. იტყვიან, იქ სულ ცნობილი სიტყვები არისო. მართლაც—სოციალ.-რევოლ. პროექტში არის ცარიელი სიტყვა: კონტროლი მუშებისათ და სხვა ასეთები. ყველა ეს ჩვენს პროექტში არ არის. პირიქით, აქ არის ისეთი გარანტიები, რომლებიც არც ერთს კონსტი-

ქალი ექიმი
მარიამ ლუკას ასული
თოფურიძე-პაპიევი
იღებს სამებიო და ქალის სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათ. ველიამინოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

ექიმი გ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეზხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი [illegible] ქ. № 33. (7 იანვ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. დორის-მელიქოვი
ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკიელისი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პრო ექტორ „აპოლოს“ მახლობლად ტელეფ. № 5—9 7 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 29, ტელეფ. 7—91 (1—იანვ).

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეზხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმი
ე. მ. მძინარიშვილისა
შეზხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნდისკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით (პარალელურად). მიღება დილით 10 11 ნაშ. ს. საღ. 5 7 საათამდე. 15—იანვ.

ექიმი
ე. ი. ქალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. სადამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (7—იანვ.

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914“ და „606“ შეზხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დღის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი). (1. იანვ.)

ექიმი
ა. გ. პართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეზხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (23—დეკ.)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (5 იან.)

განცხადებანი

უნივ. გიმნაზ. დამთავრებული და გამოც. მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
ამზადებს
ყველა საშუალო სასწავლებელის 1—8 კლ. შესასვლელად, აქვე არსდება საღამოს ჯგუფი ოთხი კლასის მოწმობის მისაღებად, ჩ წერა 9—12 ს. 4—6 ს. პლეხანოვის და ალექსის ქუჩ. კუთხე № 25/5. (4091—4—2)

სპეციალისტი
მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეზხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—12 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 12—1 ს. დღის. 5—6 საღ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 22—თებ.

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12—იანვ